


ევროპის სოციალური
ქართულის კოლექტიური
საჩივრების პროცედურა:
კარგი მმართველობის ინსტრუმენტი



European
Social
Charter

Charte
sociale
européenne

COUNCIL OF EUROPE



CONSEIL DE L'EUROPE

ევროპის სოციალური
ქართულის კოლექტიური
საჩივრების პროცედურა:
კარგი მმართველობის ინსტრუმენტი

ალა ფედოროვა
ლექტორი/ასოცირებული პროფესორი

კიევის ტარას შევჩენკოს სახელობის ეროვნული
უნივერსიტეტის საერთაშორისო ურთიერთობათა
ინსტიტუტი

ევროპის საბჭო

წინამდებარე ნაშრომში წარმოდგენილი ყველა მოსაზრება ეკუთვნის ავტორ(ებ)ს და შესაძლოა, არ ასახავდეს ევროპის საბჭოს ოფიციალურ პოზიციას.

ყველა შეცდომაზე პასუხისმგებელი არიან ავტორები.

წინამდებარე პუბლიკაცია მომზადდა ევროპის საბჭოს პროექტის ფარგლებში „სოციალური და ეკონომიკური უფლებების განმტკიცება საქართველოში“.

დოკუმენტიდან ამონარიდების (500 სიტყვამდე) ხელახალი გამოყენება ნებადართულია მხოლოდ არაკომერციული მიზნებით, თუ დაცული იქნება ტექსტის მთლიანობა, ამონარიდი არ გამოიყენება კონტექსტიდან ამოღებულად, არ წარმოგვიდგენს არასრულ ინფორმაციას, ან სხვაგვარად არ შეიყვანს მკითხველს. შეცდომაში ტექსტის ბუნებასთან, გამოყენების სფეროსა ან შინაარსთან მიმართებით. წყარო ტექსტი ყოველთვის აღიარებული უნდა იყოს შემდეგნაირად: “© ევროპის საბჭო, წელი, გამოცემა”.

ყველა სხვა თხოვნა დოკუმენტის მთლიან ან ნაწილობრივ გამოქვეყნებაზე /თარგმნაზე უნდა წარედგინოს ევროპის საბჭოს კომუნიკაციების დირექტორატს (F-67075 Strasbourg Cedex ან publishing@coe.int).

წინამდებარე დოკუმენტთან დაკავშირებული სხვა კორესპონდენციები უნდა გაუგზავნოთ ევროპის საბჭოს ადამიანის უფლებათა დირექტორატის სოციალურ უფლებათა დეპარტამენტს, DGI, F-67075 Strasbourg Cedex ან social.charter@coe.int.

ყდა და დიზაინი:
შპს უნივერსალური კონსულტინგი
ფოტო: © shutterstock

წინამდებარე პუბლიკაციას არ გაუვლია რედაქტირება DPIV სარედაქციო განყოფილებაში, ტიპოგრაფიული და გრამატიკული შეცდომების შესასწორებლად.

© ევროპის საბჭო,
2025 წლის სექტემბერი

შესავალი	07
I. ევროპის სოციალური ქარტიის სისტემის ზოგადი მიმოხილვა	10
1. სოციალური ქარტიის მნიშვნელობა ევროპაში სოციალური და ეკონომიკური უფლებების დაცვისათვის	10
2. სოციალურ უფლებათა ევროპული კომიტეტის როლი	14
II. კოლექტიური საჩივრების პროცედურა	16
1. ზოგადი განმარტება დამატებითი ოქმის შესახებ, რომელიც ითვალისწინებს კოლექტიური საჩივრების სისტემას. კოლექტიური საჩივრების პროცედურის, როგორც კვაზისასამართლო მონიტორინგის მექანიზმის უნიკალურობა, საფუძველი და მიზნები.	16
2. ევროპის სოციალური ქარტიის სისტემაში საჩივრის წარდგენის პროცედურა	17
3. სოციალურ უფლებათა ევროპული კომიტეტის გადაწყვეტილებები	23
4. არსებით მხარეზე გადაწყვეტილების მიღების შემდგომი ქმედებები	24
5. კოლექტიური საჩივრების პროცედურასთან დაკავშირებული მითების გაქარწყლება. პრობლემები და უპირატესობები.	25
III. კოლექტიური საჩივრების პროცედურის მიღების შედეგები	28
1. საქართველოს მიერ ევროპის სოციალური ქარტით აღებული ვალდებულებების ზოგადი მიმოხილვა	28
2. ზოგადი სტატისტიკა საქართველოს კანონმდებლობისა და მისი განხორციელების შესაბამისობაზე/შეუსაბამობაზე ევროპის სოციალური ქარტიის სტანდარტებთან	31
3. კოლექტიური საჩივრების პროცედურის მიღების როლი და გავლენა	32
4. კოლექტიური საჩივრების პროცედურის სარგებელი	35
IV. კოლექტიური საჩივრების პროცედურის განხორციელების კარგი პრაქტიკა	36
1. სტატისტიკა სოციალურ უფლებათა ევროპული კომიტეტისთვის წარდგენილ კოლექტიურ საჩივრებში განხილულ უფლებებზე	36
2. სოციალურ უფლებათა ევროპული კომიტეტის მიერ კოლექტიურ საჩივრებზე მიღებულ გადაწყვეტილებათა აღსრულების მაგალითები	38
3. კარგი პრაქტიკის მაგალითები შრომით უფლებებთან დაკავშირებით	44
4. კარგი პრაქტიკის მაგალითები შშმ პირთა უფლებებთან დაკავშირებით	50
5. კარგი პრაქტიკის მაგალითები ხანდაზმულთა სოციალური დაცვის უფლებებთან დაკავშირებით	54
დასკვნა და რეკომენდაციები	57
კიდევ ერთხელ კოლექტიური საჩივრების პროცედურის მიღება-აღიარების მნიშვნელობაზე ადამიანის უფლებებისა და სოციალური სამართლიანობის ხელშეწყობისათვის საქართველოში.	57
ნაბიჯები, რომლებიც საქართველომ უნდა გადადგას დამატებითი ოქმის მისაღებად	57

ინიციატივის შესახებ

წინამდებარე ბროშურა მომზადდა ევროპის საბჭოს პროექტის ფარგლებში: „სოციალური და ეკონომიკური უფლებების განმტკიცება საქართველოში“.

პროექტის მიზანია საქართველოს ხელისუფლების მხარდაჭერა სოციალურ და ეკონომიკურ უფლებათა დაცვის კუთხით არსებული გამოწვევების დაძლევაში. ინიციატივა ხორციელდება 2024 წლის იანვრიდან 2025 წლის დეკემბრამდე და ეფუძნება ევროპის საბჭოს წინა პროექტს „სოციალური და ეკონომიკური უფლებების დაცვის გაძლიერება საქართველოში“, რომელიც მიმდინარეობდა 2021 წლის მარტიდან 2023 წლის დეკემბრამდე. ახალი პროექტით გრძელდება მუშაობა წინა პროექტში მიღწეული შედეგების გაზრდასა და გაფართოებაზე.

ინიციატივა ფოკუსირებულია საქართველოს ხელისუფლების, ადამიანის უფლებათა ეროვნული ინსტიტუტების (NHRIs), სამოქალაქო საზოგადოების ორგანიზაციებისა (CSO) და სხვა შესაბამისი დაინტერესებული მხარეების შესაძლებლობათა გაძლიერებაზე, რომლებიც პასუხისმგებელნი არიან სოციალური და ეკონომიკური უფლებების უზრუნველყოფასა და ხელშეწყობაზე, განსაკუთრებული აქცენტით შეზღუდული შესაძლებლობის მქონე პირთა და ხანდაზმულთა სოციალურ უფლებებზე.

გარდა ამისა, პროექტის მიზანია, შერჩეულ სამიზნე ჯგუფებსა და, ზოგადად, საზოგადოებაში აამაღლოს ცნობიერება სოციალურ უფლებებსა და ევროპის სოციალურ ქარტიზე, მათ შორის, სოციალურ უფლებათა გამოუყენებლობის პრობლემაზე.

პროექტი ხორციელდება ექსპერტთა რჩევების/რეკომენდაციების, საჭიროებათა შეფასების, პუბლიკაციების მომზადების, შესაძლებლობათა გაძლიერებისა და ცნობიერების ასამაღლებელი კამპანიების მეშვეობით.

პროექტის მოსალოდნელი შედეგები:

- ▶ საქართველოს ხელისუფლება გარკვეულ ნაბიჯებს გადადგამს, რათა სოციალურ და ეკონომიკურ უფლებათა დაცვის კანონმდებლობა (განსაკუთრებული აქცენტით შრომით უფლებებზე და გენდერული საკითხების გათვალისწინებით) შეუსაბამოს ევროპის საბჭოსა და საერთაშორისო სტანდარტებს.
- ▶ მთავრობისა და არასამთავრობო სექტორის წარმომადგენლები (სახალხო დამცველის აპარატი, პროფესიული კავშირები და სხვა შესაბამისი ინსტიტუტები ან არასამთავრობო ორგანიზაციები) გააუმჯობესებენ ეროვნული და ალტერნატიული (ჩრდილოვანი) ანგარიშების ხარისხს.
- ▶ ხელისუფლებისა და არასამთავრობო სექტორის წარმომადგენლები (პოლიტიკოსები, შრომის ინსპექტორები, სახალხო დამცველის აპარატი, იურიდიული პროფესიის წარმომადგენლები, მოსამართლეთა ჩათვლით, და სხვა ინსტიტუტები ან სამოქალაქო საზოგადოების ორგანიზაციები)

ხელს შეუწყობენ და გააუმჯობესებენ სოციალურ უფლებათა დაცვას საქართველოში, ევროპული სტანდარტებისა და საუკეთესო პრაქტიკის შესაბამისად.

ავტორის შესახებ

ბროშურა მოამზადა სოციალურ უფლებათა ევროპული კომიტეტის წევრმა, ალა ფედოროვამ¹.

ალა ფედოროვა არის კიევის ტარას შევჩენკოს სახელობის ეროვნული უნივერსიტეტის საერთაშორისო ურთიერთობათა ინსტიტუტის ასოცირებული პროფესორი. ამჟამად მუშაობს ჩეხეთში, ოლომოუცის პალაცკის უნივერსიტეტის სამართლის ფაკულტეტზე, MSCA4Ukraine-ის პროგრამის პოსტდოქტორო მკვლევრად.

ალა ფედოროვა სოციალურ უფლებათა ევროპული კომიტეტის წევრია. მინისტრთა კომიტეტმა იგი ხელახლა აირჩია და უფლებამოსილების ვადა გაუგრძელა 2030 წლის 31 დეკემბრამდე.

ქალბატონი ფედოროვა ფლობს საერთაშორისო სამართლის დოქტორის ხარისხს და მრავალწლიან ექსპერტულ ცოდნას/გამოცდილებას ევროპის სოციალურ უფლებათა შესახებ, განსაკუთრებით, მათ რეალიზაციაზე უკრაინაში. როგორც კონსულტანტი, იგი აქტიურად თანამშრომლობს ევროპის საბჭოსთან და მნიშვნელოვანი წვლილი შეაქვს ევროპის სოციალური ქარტიის, მათ შორის, კოლექტიური საჩივრების დამატებითი ოქმის განმარტებასა და გამოყენებაში.

ბროშურის მიზანი და მეთოდოლოგია

წინამდებარე ბროშურა მომზადდა ხელმისაწვდომი საჯარო მონაცემებისა და ინფორმაციის გამოყენებით დამიზნად ისახავს საქართველოს პოლიტიკოსების, იურიდიული პროფესიის წარმომადგენლებისა და სამოქალაქო საზოგადოების ეფექტიან ჩართულობას პროცესში. იგი სიღრმისეულად განიხილავს ევროპის სოციალური ქარტიის დამატებითი ოქმს, რომელიც ითვალისწინებს კოლექტიური საჩივრების მექანიზმს; ასევე, ხაზს უსვამს პროცედურის კვაზისასამართლო ბუნებას და წარმოაჩენს მის უნიკალურ როლს სოციალურ უფლებათა დაცვის ვალდებულებების შესრულებაში. ეფუძნება რა იმ მხარე სახელმწიფოთა კარგ პრაქტიკას, რომელთაც მიღებული აქვთ დამატებითი ოქმი, ბროშურა შეიცავს კონკრეტულ მაგალითებს, თუ როგორ უწყობს ხელს კოლექტიური საჩივრების პროცედურა სოციალურ უფლებებთან დაკავშირებული სისტემური საკითხების გადაჭრას. ამ მაგალითების მიზანია ამ ოქმის რატიფიცირების პრაქტიკული საჩივრების დემონსტრირება. ბროშურა ასევე შეიცავს სტატისტიკურ მონაცემებს რეგისტრირებულ საჩივრებზე, სოციალურ უფლებათა ევროპული კომიტეტის (ECSR) გადაწყვეტილებებსა და ბოლოდროინდელ რეფორმებზე.

პუბლიკაციის მიზანია, აამაღლოს შესაბამის დაინტერესებულ მხარეთა ცნობიერება კოლექტიური საჩივრების პროცედურაზე და მხარი დაუჭიროს

¹ ბროშურაში მოსაზრებები გამოთქმულია ავტორის პასუხისმგებლობით და შესაძლოა, არ ასახავდეს ევროპის საბჭოს და/ან მისი ორგანოების ოფიციალურ პოლიტიკას.

ოქმის რატიფიცირებას საქართველოში. კერძოდ:

1. ინფორმაცია მიაწოდოს პოლიტიკოსებს, იურისტებსა და ფართო საზოგადოებას კოლექტიური საჩივრების პროცედურის არსსა და სარგებელზე;
2. აჩვენოს, როგორ შეუწყობს პროცედურა ხელს სოციალურ სამართლიანობას, როგორ განამტკიცებს საქართველოს შესაბამისობას ევროპის სოციალურ ქარტიასთან და როგორ დაეხმარება ქვეყანას სოციალურ უფლებათა სისტემური პრობლემების გადაჭრაში, დიალოგისა და თანამშრომლობის გზით;
3. სამოქალაქო საზოგადოების ორგანიზაციები უზრუნველყოს ინსტრუმენტებითა და არგუმენტებით, რომლებიც საჭიროა დამატებითი ოქმის რატიფიცირებისთვის;
4. გამოკვეთოს პროცედურის მიღების მნიშვნელობა, განმარტოს არასწორი წარმოდგენები მის შესახებ და კიდევ უფრო განამტკიცოს საქართველოს ინტეგრაცია ევროპის საბჭოს სამართლებრივ ჩარჩოში.

გამოკვეთს რა კოლექტიური საჩივრების პროცედურის პოტენციალს, ბროშურის მიზანია მოქმედების ინსპირირება და ჩვენება, თუ როგორ შეუძლია საქართველოს ამ მექანიზმის გამოყენება სოციალურ უფლებათა ხელშესაწყობად, ევროპული კარგი პრაქტიკის შესაბამისად.

და ბოლოს, ვინაიდან დამატებითი ოქმის მიღების მიმართ წინააღმდეგობა შეინიშნება გადაჭარბებულ ტვირთთან დაკავშირებული არასწორი წარმოდგენების გამო, ბროშურის მიზანია, გააქარწყლოს ეს მითები და მათ საპირწონედ წარმოადგინოს ფაქტობრივი მტკიცებულებები, სტატისტიკური მონაცემების ჩათვლით, რომლებიც ადასტურებს, რომ სოციალურ უფლებათა ევროპული კომიტეტი წელიწადში მხოლოდ 10–20 გადაწყვეტილებას გამოსცემს.

I. ევროპის სოციალური ქარტიის სისტემის ზოგადი მიმოხილვა

1. სოციალური ქარტიის მნიშვნელობა ევროპაში სოციალური და ეკონომიკური უფლებების დაცვისათვის

ევროპის სოციალური ქარტია, როგორც ევროპის საბჭოს ძირითადი ხელშეკრულება სოციალურ და ეკონომიკურ უფლებათა დასაცავად

ევროპის სოციალური ქარტია („ქარტია“ ან „ESC“) ევროპის საბჭოს ხელშეკრულებაა, რომლითაც გარანტირებულია ფუნდამენტური სოციალური და ეკონომიკური უფლებები – სხვა სიტყვებით, ადამიანის ყოველდღიური ცხოვრებისთვის მნიშვნელოვანი უფლებები. ეს უფლებები განამტკიცებს ადამიანის უფლებათა ევროპული კონვენციით (1950) დაცულ სამოქალაქო და პოლიტიკურ უფლებებს. ქარტიის უფლებები, კონვენციის მსგავსად, მომდინარეობს ადამიანის უფლებათა საყოველთაო დეკლარაციიდან (1948) და მათი გამოყენება შეუძლიათ ეროვნულ სასამართლოებს.

ქარტია შეიცავს 31 მუხლს და 98 დანომრილ პუნქტს, რომლებიც მოიცავს ადამიანის უფლებათა ფართო სპექტრს დასაქმების, სამუშაო პირობების, საცხოვრებლის, განათლების, ჯანდაცვისა და სოციალური დაცვის შესახებ. ის განსაკუთრებულ ყურადღებას ამახვილებს მოწყვლადი ჯგუფების – ხანდაზმულების, ბავშვების, შშმ პირებისა და მიგრანტების დაცვაზე. ქარტია მხარე სახელმწიფოებს ავალდებულებს, რომ ეს უფლებები გარანტირებული იყოს ყველასთვის და განხორციელდეს თანასწორად, ნებისმიერი ნიშნით დისკრიმინაციის გარეშე, როგორიცაა: რასა, ფერი, სქესი, ენა, რელიგია, პოლიტიკური ან სხვა შეხედულება, ეროვნული ან სოციალური წარმომავლობა, ჯანმრთელობის მდგომარეობა, ეროვნული უმცირესობის წევრობა, დაბადება ან სხვა სტატუსი, შეზღუდული შესაძლებლობის ჩათვლით.

საერთოევროპულ დონეზე არცერთი სამართლებრივი დოკუმენტი არ უზრუნველყოფს სოციალურ უფლებათა ისეთ ფართო და სრულფასოვან დაცვას, როგორსაც ითვალისწინებს ქარტია. სწორედ ამიტომ, ის მიიჩნევა ევროპის სოციალურ კონსტიტუციად. ამასთანავე, ქარტია ამოსავალი წერტილია ევროკავშირის სამართლისთვის, განსაკუთრებით, ფუნდამენტურ უფლებათა ქარტიისთვის, რომლის ძირითადი ნაწილი სწორედ მის ნორმებს ეფუძნება. ქარტია პირველად მიიღეს 1961 წელს და შესწორდა 1996 წელს (შესწორებული ქარტია). ევროპის საბჭოს 46 წევრი სახელმწიფოდან 42-ს რატიფიცირებული აქვს ქარტია. აქედან 36-ისთვის შესასრულებლად სავალდებულოა შესწორებული ქარტია, ხოლო დარჩენილი 6 სახელმწიფოსთვის კვლავ 1961 წლის ქარტია მოქმედებს.

ადამიანის უფლებათა სხვა ხელშეკრულებებისგან განსხვავებით, ქარტია ითვალისწინებს à la carte რატიფიცირებას. 1961 წლის ქარტიის A მუხლის თანახმად, თითოეულმა მხარე სახელმწიფომ უნდა მიიღოს რამდენიმე

„ძირითადი მუხლი“, მათ შორის, მუხლები 1, 5, 6, 12, 13, 16 და 19. შესწორებული ქარტიის ამავე დებულებაში „ძირითადად“ განისაზღვრა მუხლები: 1, 5, 6, 7, 12, 13, 16, 19 და 20.

გარდა ამისა, სახელმწიფომ უნდა მიიღოს ქარტიის მე-2 ნაწილიდან არჩეული დამატებითი მუხლები ან დანომრილი პუნქტები, იმ პირობით, რომ მიღებული მუხლებისა და დანომრილი პუნქტების საერთო ჯამი არ იქნება 16 მუხლსა ან 63 დანომრილ პუნქტზე ნაკლები (1961 წლის ქარტიის ამავე დებულების თანახმად, ეს რაოდენობა არ უნდა იყოს 10 მუხლსა ან 45 დანომრილ პუნქტზე ნაკლები).

à la carte რატიფიცირების სისტემა ქმნის ერთგვარ „მოზაიკურ დაცვას“, რაც ნიშნავს, რომ კონკრეტული სახელმწიფოს მიერ გაკეთებული არჩევანი შესაძლოა არ ითვალისწინებდეს გარკვეულ უფლებებს. მაგალითად, საფრანგეთს, ესპანეთსა და პორტუგალიას მიღებული აქვთ შესწორებული ქარტიის ყველა დებულება, ხოლო საქართველოს – მხოლოდ 63 დანომრილი პუნქტი.²

ქარტიასთან შესაბამისობაზე მონიტორინგის ორი პროცედურა

ქარტიით ნაკისრ ვალდებულებათა შესრულებას მონიტორინგს უწევს სოციალურ უფლებათა ევროპული კომიტეტი („კომიტეტი“ ან „ECSR“). იგი შედგება 15 დამოუკიდებელი და მიუკერძოებელი წევრისგან, რომლებსაც ირჩევს ევროპის საბჭოს მინისტრთა კომიტეტი, ექვსწლიანი ვადით და უფლებამოსილების ერთჯერადად განახლების შესაძლებლობით.

ეროვნულ დონეზე არსებული მდგომარეობის ქარტიასთან შესაბამისობას კომიტეტი ამოწმებს ორი დამოუკიდებელი პროცედურით. ესენია: ანგარიშების პროცედურა, რომლის ფარგლებშიც მხარე სახელმწიფოები პერიოდულ ანგარიშებს წარადგენენ; და კოლექტიური საჩივრების პროცედურა, რომელიც სოციალურ პარტნიორობებსა და სხვა არასამთავრობო ორგანიზაციებს აძლევს საჩივრების წარდგენის საშუალებას. ECSR-ის რეგლამენტის მე-2 ნესის თანახმად:

1. კომიტეტი წყვეტს, შეესაბამება თუ არა სახელმწიფოებში არსებული მდგომარეობა ევროპის სოციალურ ქარტიას, 1988 წლის დამატებით ოქმს და შესწორებულ სოციალურ ქარტიას;
2. ანგარიშების პროცედურის ფარგლებში იგი იღებს დასკვნებს, ხოლო კოლექტიური საჩივრების პროცედურის ფარგლებში გამოსცემს გადაწყვეტილებებს.

ევროპის სოციალურ ქარტიაზე მონიტორინგის ძირითადი მექანიზმია ანგარიშების პროცედურა, რომლის საშუალებითაც მოწმდება მხარე სახელმწიფოთა მიერ ნაკისრი ვალდებულებების შესრულება. იგი რეგულირდება 1961 წლის ქარტიის 21-29 მუხლებით და განახლდა შემდგომი რეფორმებით, მათ შორის, ტურინის ოქმით.

2 საქართველო და ევროპის სოციალური ქარტია <<https://rm.coe.int/georgia-april2024-en-2751-6538-0105-1/1680b0e5a8>>

მხარე სახელმწიფოები პერიოდულ ანგარიშებს წარადგენენ ქარტიის მიღებულ დებულებათა დანერგვაზე კანონმდებლობასა და პრაქტიკაში. ამ ანგარიშებს განიხილავს სოციალურ უფლებათა ევროპული კომიტეტი, რომელიც აფასებს აღწერილი მდგომარეობის შესაბამისობას ქარტიის მოთხოვნებთან და იღებს „დასკვნებს“, რომლებიც ხელმისაწვდომია საჯაროდ და განთავსებულია HUDOC-ის მონაცემთა ბაზაში. შეუსაბამობაზე დასკვნები სახელმწიფოებს ავალდებულებს კანონმდებლობის ან პრაქტიკის შესაბამისობაში მოყვანას ქარტიის სტანდარტებთან.

2022 წლის რეფორმის შედეგად, 2023 წლიდან ქარტიის დებულებები იყოფა ორ ჯგუფად: სახელმწიფოები, რომლებსაც არ მიუღიათ კოლექტიური საჩივრების პროცედურა, თითოეულ ჯგუფზე ანგარიშს წარადგენენ ორ წელიწადში ერთხელ. შესაბამისად, ყველა მიღებულ დებულებაზე ანგარიშგება ხდება ოთხ წელიწადში ერთხელ; ხოლო სახელმწიფოები, რომლებსაც მიღებული აქვთ კოლექტიური საჩივრების პროცედურა, თითოეულ ჯგუფზე ანგარიშს წარადგენენ ოთხ წელიწადში ერთხელ. შესაბამისად, ყველა მიღებულ დებულებაზე ანგარიშგება ხდება რვა წელიწადში ერთხელ.

დებულებები იყოფა ორ ჯგუფად:

ჯგუფი 1: მუხლები 1, 2, 3, 4, 5, 6, 8, 9, 10, 18, 19, 20, 21, 22, 24, 25, 28 და 29.

ჯგუფი 2: მუხლები 7, 11, 12, 13, 14, 15, 16, 17, 23, 26, 27, 30 და 31.

ბოლო რეფორმების შედეგად, ანგარიშგებისთვის დანესდა მიზნობრივი კითხვები და გაძლიერდა დიალოგი მონიტორინგის ორგანოებს, სახელმწიფოებსა და დაინტერესებულ მხარეებს შორის (პროფკავშირებისა და არასამთავრობო ორგანიზაციების ჩათვლით). ამ ცვლილებათა შედეგად, მეტი მნიშვნელობა მიენიჭა სოციალურ უფლებებთან დაკავშირებული საკითხების გადაჭრას თანამშრომლობაზე დაფუძნებული გზებით.

ფართო, ურთიერთგადაწყვეტი ან საერთოევროპული განზომილების მქონე საკითხების წამოჭრისას (მაგ: ეკონომიკური კრიზისები, ან კონკრეტულ უფლებათა დარღვევები), მხარე სახელმწიფოებს შეიძლება დაევალოთ სპეციალური (ad hoc) ანგარიშების წარდგენა კომიტეტისთვის. ამ ანგარიშების თემათა და ვადების განსაზღვრავენ სოციალურ უფლებათა ევროპული კომიტეტი და სამთავრობო კომიტეტი. მაგალითად, 2023 წელს, სამთავრობო კომიტეტთან კონსულტაციის შემდეგ, ECSR-მა გადაწყვიტა, სახელმწიფოებისთვის ეთხოვა სპეციალური ანგარიშების წარდგენა ცხოვრების ღირებულების კრიზისზე.

მიუღებელ დებულებათა პროცედურის მიზანია, მხარე სახელმწიფოები წაახალისოს ქარტიის ყველა დებულების ეტაპობრივად მისაღებად, ESC-ის სულისკვეთების შესაბამისად. ამ პროცედურას სოციალურ უფლებათა ევროპული კომიტეტი იყენებს 1961 წლის ქარტიის 22-ე მუხლის თანახმად, რომელიც განსაზღვრულია ქარტიის IV ნაწილში და შესწორდა 1991 წლის ტურინის ოქმით:

„ხელშემკვრელი სახელმწიფოები ვალდებულნი არიან, გენერალურ მდივანს, სათანადო პერიოდულობით და მინიმალურ კომიტეტის მოთხოვნის შესაბამისად, წარუდგინონ ანგარიშები ქარტიის II ნაწილის იმ დებულებებზე,

რომლებიც არ ჰქონდათ მიღებული [ქარტიის] რატიფიცირების ან მიღების ან შემდგომი შეტყობინების დროს. მინისტრთა კომიტეტი პერიოდულად განსაზღვრავს, თუ რომელ დებულებებთან მიმართებით მოითხოვება ანგარიშები, ასევე უთითებს წარსადგენი ანგარიშების ფორმას.“

ამ პროცედურას ორი ძირითადი მიზანი აქვს: პირველი, იგი განამტკიცებს მიღებულ დებულებებზე ანგარიშგების მექანიზმს, რადგან ხელს უწყობს მხარე სახელმწიფოთა ზოგადი შესაბამისობის შეფასებას ქარტიის მოთხოვნებთან; და მეორე, იგი აქტიურად უწყობს ხელს ქარტიის დამატებითი ოქმების პროგრესულ მიღებას.

ამავე პროცედურის მიზანია მხარე სახელმწიფოთა წახალისება ეროვნული კანონმდებლობისა ან პრაქტიკის გადასასინჯად, რომელიც ქარტიასთან შეუთავსებლად მიიჩნევა, რათა ისინი დაუახლოოს ქარტიის სტანდარტებს.

კოლექტიური საჩივრების პროცედურა შემოღებულია დამატებითი ოქმით კოლექტიური საჩივრების სისტემის შესახებ (1995) და მიზნად ისახავს ქარტიის განხორციელების ეფექტიანობის, სისწრაფისა და გავლენის გაზრდას. პროცედურა იძლევა მხარე სახელმწიფოთა მიმართ საჩივრების წარდგენის შესაძლებლობას – იმ კანონმდებლობასა ან პრაქტიკაზე, რომელიც ეწინააღმდეგება ქარტიით დადგენილ სტანდარტებს. საჩივრების წარდგენა შეუძლიათ: დამსაქმებელთა და პროფკავშირების საერთაშორისო ორგანიზაციებს (როგორიცაა დამსაქმებელთა საერთაშორისო ორგანიზაცია და Business Europe, ევროპის პროფესიული კავშირების კონფედერაცია); გარკვეულ საერთაშორისო არასამთავრობო ორგანიზაციებს, რომლებიც ფლობენ ევროპის საბჭოს მონაწილის სტატუსს და საკუთარი ინიციატივით უერთდებიან ევროპის სოციალური ქარტიისა და სოციალური უზრუნველყოფის ევროპული კოდექსის სამთავრობო კომიტეტის მიერ შედგენილ სიას; დამსაქმებელთა და პროფკავშირთა ეროვნულ წარმომადგენლობით ორგანიზაციებს, რომლებიც მოქმედებენ იმ მხარე სახელმწიფოს იურისდიქციის ფარგლებში, ვის მიმართაც წარადგენენ საჩივარს.

გარდა ამისა, ნებისმიერ სახელმწიფოს აქვს უფლება, თავის იურისდიქციაში მოქმედ ეროვნულ წარმომადგენლობით არასამთავრობო ორგანიზაციას მიანიჭოს სახელმწიფოს მიმართ საჩივრის წარდგენის უფლება. ამ ეტაპზე, ასეთი შესაძლებლობით ისარგებლა მხოლოდ ფინეთმა.

დასაშვებად ცნობის შემდეგ, ECSR განიხილავს საჩივრის საფუძვლებს და იღებს გადაწყვეტილებას მის არსებით მხარეზე. გადაწყვეტილებაში დგინდება, შესაბამება თუ არა სახელმწიფოს კანონი და/ან პრაქტიკა ქარტიის ერთ ან რამდენიმე დებულებას.

ეს ბროშურა ყურადღებას ამახვილებს საჩივრების განხილვის კოლექტიურ პროცედურასა და მის რელევანტურობაზე.

2. სოციალურ უფლებათა ევროპული კომიტეტის როლი

კომიტეტის პრაქტიკის მნიშვნელობა ევროპის სოციალური ქარტიის განმარტებასა და სახელმწიფოთა დახმარებაში, რომ შეასრულონ ხელშეკრულებით ნაკისრი ვალდებულებები. კომიტეტის პრაქტიკის გავლენა მხარე სახელმწიფოთა ეროვნულ კანონმდებლობასა და პრაქტიკაზე.

სოციალურ უფლებათა ევროპული კომიტეტი არის მონიტორინგის ორგანო, რომლის პასუხისმგებლობაა, განმარტოს ევროპის სოციალური ქარტია და შეაფასოს მხარე სახელმწიფოთა მიერ აღებული ვალდებულებების შესრულება. კომიტეტის პრაქტიკა კრიტიკულ როლს ასრულებს ქარტიის დებულებათა მოქმედების სფეროსა და გამოყენების ნესების განმარტებაში. საკუთარი დასკვნებითა და გადაწყვეტილებებით, კომიტეტი სახელმწიფოებს არსებით მითითებებს აწვდის ქარტიით გათვალისწინებული ვალდებულებების შესრულებაზე და ხელს უწყობს მათი პოლიტიკის შესაბამისობას ადამიანის უფლებათა ევროპულ სტანდარტებთან.

კომიტეტის პრეცედენტული სამართალი მოიცავს ყველა წყაროს, სადაც კი ECSR განმარტავს ქარტიის დებულებებს. მათ შორისაა:

1. კოლექტიურ საჩივრებზე მიღებული გადაწყვეტილებები დასაშვებობის შესახებ, არსებითი მხარის შესახებ, განსახილველ საქმეთა ნუსხიდან ამორიცხვის შესახებ და დროებითი ღონისძიების შესახებ;
2. ანგარიშგების პროცედურის ფარგლებში მიღებული დასკვნები;
3. განმარტებითი განცხადებები.

2006 წლიდან განმარტებითი განცხადებები იბეჭდება დასკვნების ზოგად შესავალში.

ზემოთ ჩამოთვლილი ყველა დოკუმენტი ხელმისაწვდომია ევროპის საბჭოს HUDOC-ის მონაცემთა ბაზაში, მისამართზე: www.coe.int/socialcharter.

კომიტეტის სამართლებრივი პრაქტიკა მნიშვნელოვან გავლენას ახდენს ეროვნული კანონმდებლობისა და პრაქტიკის განვითარებაზე, განსაკუთრებით ისეთი სფეროებში, როგორიცაა შრომითი უფლებები, სოციალური დაცვა, საცხოვრებელი, თანასწორობა და დისკრიმინაციის აღკვეთა. შეუსაბამობის შესახებ დასკვნები ხშირად სახელმწიფოებს უბიძგებს საკანონმდებლო ცვლილებებისკენ, მაგალითად, სამუშაო პირობების გასაუმჯობესებლად, ან თანასწორი მოპყრობის უზრუნველსაყოფად. კომიტეტის როლი ქარტიის განმარტებაში ხელს უწყობს სოციალურ უფლებათა განმტკიცებას ეროვნულ სამართალში და ეროვნული პოლიტიკის დაახლოებას სოციალური სამართლიანობის ევროპულ პრინციპებთან.

კომიტეტის დინამიკური იურისპრუდენცია განამტკიცებს ქარტიის, როგორც „ცოცხალი ინსტრუმენტის“ როლს, რომელიც ვითარდება ახალი სოციალური გამოწვევების საპასუხოდ, როგორიცაა მიგრანტთა უფლებები, ეკონომიკური კრიზისების გავლენა და შეიარაღებული კონფლიქტებით წარმოშობილი

საკითხები.

ევროპის საბჭოს ინიციატივები კოლექტიური საჩივრების პროცედურის მიღების გასაფართოებლად. რეგისტრირებული საჩივრებისა და მიღებული გადაწყვეტილებების სტატისტიკა

1995 წლის დამატებითი ოქმით შემოღებული კოლექტიური საჩივრების პროცედურა გარკვეულ ორგანიზაციებს (მათ შორის, პროფკავშირებსა და არასამთავრობო ორგანიზაციებს) საშუალებას აძლევს, პირდაპირ მიმართონ სოციალურ უფლებათა ევროპულ კომიტეტს. ეს მექანიზმი აძლიერებს ქარტიის განხორციელება-აღსრულებას, რადგან სამოქალაქო საზოგადოებას საშუალებას აძლევს, სახელმწიფოებს მოსთხოვონ ანგარიშვალდებულება ქარტიით ნაკისრ ვალდებულებათა შესრულებაზე.

ამ მექანიზმის პოტენციალის გათვალისწინებით, ევროპის საბჭო აქტიურად უწყობს ხელს მის მიღებას მხარე სახელმწიფოებში, მათ შორის, უახლესი რეფორმების ფარგლებში. ამჟამად, ევროპის საბჭოს 46 წევრი სახელმწიფოდან მხოლოდ 16 ქვეყანას აქვს რატიფიცირებული დამატებითი ოქმი, რაც ხაზს უსვამს, რომ კრიტიკულად აუცილებელია მისი მიღების გაფართოება.

როგორც აღინიშნა, სახელმწიფოთა ყოველწლიური ანგარიშების განხილვის პროცედურის ნაწილობრივ ჩასანაცვლებლად, ევროპის საბჭო მხარე სახელმწიფოებს მოუწოდებს კოლექტიური საჩივრების პროცედურის მიღებას, რაც შეამცირებს წარსადგენი ანგარიშების რაოდენობას. კერძოდ, 2024 წლიდან, ამ პროცედურის ამოქმედების შემთხვევაში, სახელმწიფოები ანგარიშებს წარადგენენ ოთხ წელიწადში ერთხელ, გამარტივებული წესით.

კომიტეტი ყოველწლიურად იღებს 10–20 გადაწყვეტილებას (მაგ: 2022 წელს მიიღო 14 გადაწყვეტილება). ჯამში, დღემდე (2024 წლის ნოემბრის მონაცემებით) რეგისტრირებულია 243 საჩივარი.

2023 წლიდან, გარკვეული პროცედურული ცვლილებები გატარდა კოლექტიური საჩივრების შემდგომ მონიტორინგთან მიმართებით: კერძოდ, თუ საჩივრის არსებითი განხილვისას ECSR დაადგენს ქარტიის დარღვევას, შესაბამის სახელმწიფოს ევალება, კომიტეტს წარუდგინოს ინფორმაცია მიღებულ ზომებზე, შემდგომი (follow-up) ანგარიშის სახით (თითო ანგარიში თითო გადაწყვეტილებაზე), მინისტრთა კომიტეტის მიერ რეკომენდაციის მიღებიდან ორი წლის შემდეგ.

სოციალურ უფლებათა ევროპული კომიტეტი განიხილავს შემდგომ ანგარიშს და აფასებს, შეუსაბამა თუ არა სახელმწიფომ არსებული მდგომარეობა ქარტიის მოთხოვნებს. შემდეგ, ის თავის მიგნებებს უგზავნის მინისტრთა კომიტეტს, რომელიც უფლებამოსილია, ECSR-ის შეფასების საფუძველზე, საქმე დახუროს რეზოლუციის გამოცემით, ან მიიღოს მეორე რეკომენდაცია.

მხარე სახელმწიფოთა მიერ წარმოდგენილი შემდგომი ანგარიშები, ისევე, როგორც ECSR-ის მიერ ამ ანგარიშებზე მიღებული დასკვნები, საჯაროდ ხელმისაწვდომია შესაბამის ვებგვერდზე.

II. კოლექტიური საჩივრების პროცედურა

1. ზოგადი განმარტება დაპატიმრებული ოქმის შესახებ, რომელიც ითვალისწინებს კოლექტიური საჩივრების სისტემას. კოლექტიური საჩივრების პროცედურის, როგორც კვაზისასამართლო მონიტორინგის მექანიზმის უნიკალურობა, საფუძველი და მიზნები.

კოლექტიური საჩივრების პროცედურა, რომელსაც ითვალისწინებს დამატებითი ოქმი, კოლექტიური სამართლებრივი მოქმედების უნიკალური ფორმაა ადამიანის უფლებათა დაცვის სისტემაში. იგი ასახავს სისტემურ მიდგომას იმ გამოწვევათა გადასაჭრელად, რომლებიც უკავშირდება სოციალურ უფლებათა ეფექტიან რეალიზაციას, და სახელმწიფოებს აძლევს მიმართულებას სტრუქტურულ პრობლემათა და ნაკლოვანებათა მოგვარებისათვის. დამატებითი ოქმის პირველი მუხლის თანახმად, გარკვეულ ორგანიზაციებს უფლება აქვთ, კომიტეტს მიმართონ საჩივრით, რომელიც ეხება მხარე სახელმწიფოს მიერ ქართული ნაკისრ ვალდებულებათა დარღვევას.

კოლექტიური საჩივრების პროცედურა შეიცავს სასამართლო პროცესისთვის დამახასიათებელ რამდენიმე ელემენტს, როგორიცაა: მხარეთა არგუმენტების განხილვა, სამართლებრივი ნორმების გამოყენება კონკრეტული ფაქტობრივი გარემოებების მიმართ და დასაბუთებული გადაწყვეტილებების მიღება. შესაბამისად, იგი განიხილება პირველ საერთაშორისო კვაზისასამართლო მექანიზმად, რომელიც ემსახურება კონკრეტულად სოციალური უფლებების დაცვას.

ძირითადი თავისებურებები, რომლებიც ხაზს უსვამს მის კვაზისასამართლო ბუნებას:

- ▶ იგი არ ითხოვს საჩივრის წარდგენას ცალკეულ მსხვერპლთა მიერ და ყურადღებას ამახვილებს სამართლებრივ ან პრაქტიკულ დონეზე არსებულ სტრუქტურულ ხარვეზებზე;
- ▶ თავიდან იცილებს სასამართლო პროცესებთან დაკავშირებულ ზედმეტ ფორმალურობებს;
- ▶ ხელს უწყობს იმ საერთო პოლიტიკისა და ფართოდ გავრცელებული პრაქტიკის შესწავლას, რომელიც შეიძლება არღვევდეს სოციალურ უფლებებს;
- ▶ კომიტეტის გადაწყვეტილებებს არ აქვს სავალდებულო იურიდიული ძალა, თუმცა მნიშვნელოვანი გავლენა აქვს ეროვნული პოლიტიკის ფორმირებაზე და ხშირად განაპირობებს საკანონმდებლო რეფორმებს.

კოლექტიური საჩივრების პროცედურა ეფუძნება ევროპის საბჭოს მისიას, ხელი შეუწყოს სოციალურ სამართლიანობას და ევროპის სოციალური ქარტიით აღებული ვალდებულებების შესრულებას. მისი მთავარი მიზნებია:

- წაახალისოს მხარე სახელმწიფოები, სოციალური პარტნიორები და

სამოქალაქო საზოგადოების ორგანიზაციები, რომ ერთობლივად გადაჭრან სოციალურ უფლებებთან დაკავშირებული პრობლემები;

- გამოავლინონ სოციალურ უფლებათა სისტემური დარღვევები, რაც ხელს შეუწყობს საჯარო დებატებს და დაცვის გაძლიერებაზე მიმართულ ადვოკატირებას.

ამ მექანიზმის მეშვეობით, ევროპის საბჭო გამოკვეთს კოლექტიური მოქმედებისა და სისტემური გადაწყვეტილებების მნიშვნელობას რთული სოციალური გამოწვევების დაძლევაში, რაც კიდევ უფრო ზრდის ევროპის სოციალური ქარტიის პრაქტიკულ ეფექტიანობას. ეს მიდგომა არა მხოლოდ ავსებს/განამტკიცებს ანგარიშგების ტრადიციულ სისტემებს, არამედ მონიტორინგის ინოვაციურ ინსტრუმენტადაც გვევლინება საერთაშორისო სამართალში.

2. ევროპის სოციალური ქარტიის სისტემაში საჩივრის წარდგენის პროცედურა

განმცხადებლები და მოპასუხე მხარეები: ორგანიზაციები, რომელთაც აქვთ საჩივრის წარდგენის უფლება და მოპასუხე სახელმწიფოები

დამატებითი ოქმით გათვალისწინებული კოლექტიური საჩივრების პროცედურა გარკვეულ ორგანიზაციებს აძლევს საჩივრის წარდგენის უფლებას იმ მხარე სახელმწიფოთა წინააღმდეგ, რომლებსაც მიღებული აქვთ ეს პროცედურა. მათ შორის არიან: საერთაშორისო ორგანიზაციები, ეროვნული და საერთაშორისო არასამთავრობო ორგანიზაციები და პროფკავშირები.

1. პროფკავშირთა და დამსაქმებელთა საერთაშორისო ორგანიზაციები (მაგ: ETUC, BusinessEurope, IOE)

ეს ორგანიზაციები ჩამოთვლილია 1961 წლის ქარტიის 27.2 მუხლში. მათ უფლება აქვთ, საჩივრები შეიტანონ ქარტიით გათვალისწინებულ ნებისმიერ საკითხზე, ნებისმიერი მხარე სახელმწიფოს მიმართ, რომელსაც მიღებული აქვს კოლექტიური საჩივრების პროცედურა. ასეთი ფართო მანდატი ასახავს მათ მნიშვნელოვან როლს მუშაკთა და დამსაქმებელთა ინტერესების საერთაშორისო დონეზე დაცვაში.

2. საერთაშორისო არასამთავრობო ორგანიზაციები (INGO)

საერთაშორისო არასამთავრობო ორგანიზაციებს, რომლებიც არიან ევროპის სოციალური ქარტიისა და სოციალური უზრუნველყოფის ევროპული კოდექსის სამთავრობო კომიტეტის მიერ შედგენილ სიაში, უფლება აქვთ, საჩივრები შეიტანონ ყველა იმ სახელმწიფოს მიმართ, რომლებსაც მიღებული აქვთ საჩივრების პროცედურა. ამასთან, საჩივარი უნდა ეხებოდეს INGO-ს კომპეტენციაში შემავალ საკითხს, რაც უზრუნველყოფს შესაბამის ექსპერტულ ცოდნასა და გამოცდილებას წამოჭრილ საკითხებთან დაკავშირებით.

3. დამსაქმებელთა და პროფკავშირთა ეროვნული წარმომადგენლობითი

ორგანიზაციები

მათ საჩივრების შეტანა შეუძლიათ მხოლოდ იმ სახელმწიფოს წინააღმდეგ, რომლის იურისდიქციაშიც მოქმედებენ. „წარმომადგენლობითობა“ განისაზღვრება დამოუკიდებლად, ანუ არ ფასდება ეროვნულ კრიტერიუმებზე დაყრდნობით. ეს დებულება ხაზს უსვამს ადგილობრივი წარმომადგენლობის მნიშვნელობას ქარტიით გათვალისწინებულ საკითხებზე რეაგირებისას.

4. წარმომადგენლობითი ეროვნული არასამთავრობო ორგანიზაციები

ამ ორგანიზაციებს საჩივრების შეტანა შეუძლიათ მხოლოდ იმ შემთხვევაში, თუ შესაბამისმა სახელმწიფომ ერთმნიშვნელოვნად გააკეთა განაცხადი ასეთი უფლების მინიჭებაზე. დღემდე, ფინეთი ერთადერთი მხარე სახელმწიფოა, რომელსაც გაკეთებული აქვს ასეთი განაცხადი. INGO-ების მსგავსად, ეროვნული არასამთავრობო ორგანიზაციებისთვისაც მოქმედებს მოთხოვნა, რომ საჩივარი ეხებოდეს მათ კომპეტენციაში შემავალ საკითხებს. წარმომადგენლობითობასაც ცალკე აფასებს კომიტეტი.

ეს სისტემა უზრუნველყოფს მონიტორინგისა და სოციალურ უფლებათა დაცვის მრავალფეროვან და ინკლუზიურ მექანიზმს და მკაცრ სტანდარტებს აწესებს მონაწილეობის მსურველი ორგანიზაციებისთვის, რაც ზრდის გასაჩივრების პროცესის სანდოობასა და ეფექტიანობას.

სახელმწიფოებმა, რომლებიც არასამთავრობო ორგანიზაციებს ანიჭებენ საჩივრის შეტანის უფლებას, ეს უფლება თანაბრად უნდა გაავრცელონ ყველა არასამთავრობო ორგანიზაციაზე, ყოველგვარი გამორჩევისა და შეზღუდვების გარეშე.

დასაშვებობის პირობები და საჩივრის ძირითადი ელემენტები

სოციალურ უფლებათა ევროპული კომიტეტი უზრუნველყოფს, რომ დამატებითი ოქმით გათვალისწინებული კოლექტიური საჩივრები აკმაყოფილებდეს დასაშვებობის კრიტერიუმებს. 1995 წლის დამატებითი ოქმის მე-4 მუხლის თანახმად, საჩივარი უნდა: (i) წარადგინონ წერილობით; (ii) შეეხებოდეს ქარტიის იმ დებულებას, რომელიც მიღებული აქვს შესაბამის სახელმწიფოს; და (iii) მიუთითებდეს, რა მხრივ ვერ შეძლო სახელმწიფომ დებულების სათანადოდ შესრულება. ეს პირობები³ გადამწყვეტია კოლექტიური საჩივრების სისტემის პროცედურული კეთილსინდისიერებისთვის, ასევე იმისთვის, რომ ეფექტიანად შეასრულოს სოციალურ უფლებათა დაცვის ინსტრუმენტის როლი.

1. საჩივრის ფორმატი და წარდგენა

- ▶ საჩივარი უნდა წარადგინონ წერილობითი ფორმით; მასში მკაფიოდ უნდა მიეთითოს განმცხადებელი ორგანიზაციის დასახელება და საკონტაქტო ინფორმაცია.

³ სოციალურ უფლებათა ევროპული კომიტეტის რეგლამენტის 29-ე წესი: <https://rm.coe.int/rules-rev-343-en/1680b2726c>

- ▶ საჩივარს ხელს უნდა აწერდეს პირი, რომელსაც აქვს ორგანიზაციის წარმომადგენლობის უფლება. აუცილებელია, საჩივარს ერთვოდეს ამის დამადასტურებელი დოკუმენტი.
- ▶ საერთაშორისო ორგანიზაციები საჩივრებს წარადგენენ ევროპის საბჭოს ერთ-ერთ ოფიციალურ ენაზე (ინგლისურად ან ფრანგულად).
- ▶ ეროვნულ ორგანიზაციებს შეუძლიათ, საჩივარი წარადგინონ იმ სახელმწიფოს ოფიციალურ ენაზე, რომელსაც ის ეხება.
- ▶ საჩივრები უნდა გაეგზავნოს სოციალურ უფლებათა ევროპული კომიტეტის აღმასრულებელ სამდივნოს, რომელიც მოქმედებს ევროპის საბჭოს გენერალური მდივნის სახელით.

2. რომელი სახელმწიფოების წინააღმდეგ შეიძლება საჩივრების წარდგენა და რომელ დებულებებზე:

- ▶ საჩივრების წარდგენა შესაძლებელია მხოლოდ იმ მხარე სახელმწიფოთა წინააღმდეგ, რომელთაც ცალსახად აქვთ მიღებული კოლექტიური საჩივრების პროცედურა, დამატებითი ოქმის რატიფიცირებით.
- ▶ საჩივარი უნდა ეხებოდეს მოპასუხე სახელმწიფოს მიერ მიღებულ ერთ ან რამდენიმე დებულებას, მისი შინაარსი კი შეესაბამებოდეს ქართული ალიარებულ ვალდებულებებს. საჩივარი შეიძლება მიუთითებდეს:
 - დებულებებზე, რომლებიც წარმოდგენილია 1961 წლის ქართის II ნაწილში, ან 1988 წლის დამატებით ოქმში;
 - შესწორებული ქართის II ნაწილის 1–31 მუხლებსა და V ნაწილის E მუხლზე.

3. რა კრიტერიუმებს უნდა აკმაყოფილებდეს მომჩივანი ორგანიზაცია:

- ▶ პროფკავშირთა და დამსაქმებელთა ეროვნული ორგანიზაციები: ასეთმა ორგანიზაციებმა უნდა დაადასტურონ წარმომადგენლობითობა იმ მხარე სახელმწიფოს იურისდიქციის ფარგლებში, ვის წინააღმდეგაც წარადგენენ საჩივარს. მათ ეს უნდა აჩვენონ ისე, როგორც განსაზღვრავს ECSR. წარმომადგენლობითობა ავტონომიური ცნებაა და შესაძლოა, არ შეესაბამებოდეს შიდასახელმწიფოებრივ დონეზე მოქმედ სამართლებრივ განმარტებებს (მაგ. იხ. Confédération française de l'Encadrement “CFE-CGC” v. France). მაშინაც, როდესაც ქვეყანაში არ მოქმედებს რეგისტრაციის მკაფიო ეროვნული სისტემა (მაგ. იტალია), პროფკავშირი შეიძლება წარმომადგენლობით ორგანიზაციად ჩაითვალოს მისი ფუნქციური აქტივობებიდან გამომდინარე.
- ▶ საერთაშორისო და ეროვნული არასამთავრობო ორგანიზაციები (NGO/INGO): მათ უნდა წარმოადგინონ მტკიცებულება, რომ აქვთ კომპეტენცია იმ სფეროში, რომელსაც ეხება საჩივარში მითითებული დებულებები. მაგალითად, არასამთავრობო ორგანიზაციებმა, რომლებიც არიან საჩივრის წარდგენის უფლების მქონე ორგანიზაციათა ოფიციალურ სიაში, უნდა დაასაბუთონ ექსპერტული ცოდნა და გამოცდილება სოციალურ უფლებათა შესაბამის სფეროში.

4. საჩივრის შინაარსი:

- ▶ საჩივარში უნდა განიმარტოს, სავარაუდოდ, რა მხრივ ვერ შეძლო განსახილველმა სახელმწიფომ ქარტიის დებულებათა ეფექტიანად შესრულება.
- ▶ საჩივარს უნდა ერთვოდეს დეტალური მტკიცებულებები, არგუმენტები და დამხმარე დოკუმენტები, რომლებიც მიუთითებს:
 - განხორციელების სამართლებრივი ჩარჩოს არარსებობაზე;
 - მოქმედი სამართლებრივი ჩარჩოს ხარვეზებსა ან არასათანადო ნორმებზე;
 - შეუსაბამობაზე პრაქტიკული გამოყენების სტანდარტებთან.

კოლექტიური საჩივრების პროცედურა, თავისი ბუნებით, კოლექტიურია, ამიტომ, არ ითვალისწინებს ცალკეულ პირთა მიერ შეტანილ საჩივრებს, ან მხოლოდ ერთი პირის სიტუაციასთან დაკავშირებულ შემთხვევებს. ნაცვლად ამისა, ის ყურადღებას ამახვილებს სისტემურ საკითხებზე, რომლებიც გავლენას ახდენს ადამიანთა ჯგუფებსა ან კატეგორიებზე. სირთულეები შესაძლოა წარმოიშვას:

- ▶ პროფკავშირთა და დამსაქმებელთა ორგანიზაციების სამართლებრივ განმარტებასა და აღიარებასთან მიმართებით (მაგ. იტალიაში პროფკავშირები რეგისტრაციის გარეშე მოქმედებენ, რაც ართულებს წარმომადგენლობითობის დასაბუთებას);
- ▶ „განსაკუთრებული კომპეტენციის“ განმარტებასთან დაკავშირებით, რომელიც ფასდება ორგანიზაციის მიერ დემონსტრირებული ექსპერტიზისა და საქმიანობის სფეროს მიხედვით.

ადამიანის უფლებათა ევროპულ სასამართლოში შეტანილი ინდივიდუალური განაცხადებისგან განსხვავებით, კოლექტიური საჩივრების პროცედურა არ ითხოვს სამართლებრივი დაცვის შიდა საშუალებათა ამოწურვას, მათი არსებობის შემთხვევაშიც კი.⁴

ამ პირობების საფუძველზე, პროცედურა უზრუნველყოფს სტრუქტურირებულ მიდგომას სოციალურ უფლებათა დარღვევაზე რეაგირებისთვის და ხელს უწყობს მხარე სახელმწიფოთა ანგარიშვალდებულებას, ასევე, მათ შესაბამისობას ქარტიით დადგენილ სტანდარტებთან. ეს მიდგომა აძლიერებს კოლექტიური საჩივრების პროცედურის, როგორც ქარტიით გარანტირებულ ღირებულებათა დაცვის კვაზისასამართლო მექანიზმის სანდოობას.

საჩივრების განხილვა სოციალურ უფლებათა ევროპული კომიტეტის მიერ რეგისტრაცია

წარდგენის შემდეგ, საჩივარი რეგისტრირდება კომიტეტის რეგლამენტის 26-ე წესის შესაბამისად.

⁴ Syndicat des Agrégés de l'Enseignement Supérieur (SAGES) v. France, საჩივარი No. 26/2004, 2004 წლის 7 დეკემბრის გადაწყვეტილება დასაშვებობის შესახებ, §511 და 12; ასევე, ib. European Roma Rights Center (ERRC) v. Bulgaria, საჩივარი No.31/2005, 2005 წლის 10 ოქტომბრის გადაწყვეტილება დასაშვებობის შესახებ, §10.

საჩივრებს არეგისტრირებს ევროპის საბჭოს სოციალურ უფლებათა დეპარტამენტის სამდივნო, იმ თანმიმდევრობით, რომლითაც მიიღო. კომიტეტი საჩივრებს განიხილავს პროცედურისთვის მზაობის მიხედვით. ამავდროულად, მას უფლება აქვს, პრიორიტეტი მიანიჭოს კონკრეტული საჩივრის განხილვას.

დასაშვებობა

რეგისტრაციის შემდეგ, კომიტეტი დეტალურად შეისწავლის საჩივარს, რათა დაადგინოს, აკმაყოფილებს თუ არა დასაშვებობის კრიტერიუმებს. პროცესი ეყრდნობა ECSR-ის რეგლამენტის 29-30 წესებს, სადაც აღწერილია ძირითადი ნაბიჯები და პროცედურული გარანტიები.

დასაშვებობაზე გადაწყვეტილების მიღებამდე, ECSR-ის პრეზიდენტს შეუძლია, მოპასუხე სახელმწიფოს სთხოვოს წერილობითი მოსაზრებების წარდგენა საჩივრის დასაშვებობაზე, კონკრეტულ ვადაში.

საქმის დროულად განხილვისათვის, პრეზიდენტს უფლება აქვს, მოპასუხე სახელმწიფოს სთხოვოს, რომ არგუმენტები საჩივრის არსებით მხარეზე წარადგინოს დასაშვებობასთან დაკავშირებულ მოსაზრებებთან ერთად, მიუხედავად იმისა, რომ საჩივარი შეიძლება დაუშვებლად გამოცხადდეს.

მომჩივანს ორგანიზაციას, შესაძლოა, კომიტეტმა იმავე პირობებით სთხოვოს პასუხის გაცემა სახელმწიფოს არგუმენტებზე, რის შემდეგაც სახელმწიფოს შეუძლია, უპასუხოს ორგანიზაციის პოზიციას. თუ კომიტეტი მიიჩნევს, რომ საჩივარი ცალსახად ასრულებს/ვერ ასრულებს დასაშვებობის პირობებს, იგი უფლებამოსილია, დასაშვებობაზე გადაწყვეტილება მიიღოს ისე, რომ მოპასუხე სახელმწიფოს არ სთხოვოს მოსაზრებების წარდგენა. გადაწყვეტილება საჯაროა და ქვეყნდება ევროპის სოციალური ქარტიის ვებგვერდზე. გადაწყვეტილების ვებგვერდზე გამოქვეყნება განიხილება შეტყობინებად სხვა მხარე სახელმწიფოებისთვის, რომელთაც არ მიუღიათ კოლექტიური საჩივრების პროცედურა. კომიტეტის ყველა გადაწყვეტილება ქვეყნდება ევროპის სოციალური ქარტიის პრეცედენტული სამართლის მონაცემთა ბაზაში (HUDOC-ESC)

საქმის არსებითი მხარის განხილვა

კოლექტიური საჩივრის დასაშვებად ცნობის შემდეგ, სოციალურ უფლებათა ევროპული კომიტეტი განიხილავს მის არსებით მხარეს. პროცედურის მიზანია, უზრუნველყოს გამჭვირვალობა, მიუკერძოებლობა და სამართლიანობა. არგუმენტების წარდგენა შეუძლია ორივე მხარეს, ასევე, შესაბამის მესამე მხარეებს.

1. წერილობითი პროცედურა

- ▶ საჩივრის დასაშვებად ცნობის შემდეგ, ECSR შესაბამის სახელმწიფოს სთხოვს, განსაზღვრულ ვადაში წარმოადგინოს წერილობითი მოსაზრებები საჩივრის არსებით მხარეზე (წესი 315f).
- ▶ შემდეგ, მომჩივანს ორგანიზაციას ეძლევა შესაძლებლობა, ანალოგიური

პირობებით უპასუხოს სახელმწიფოს მოსაზრებებს (ნესი 31§2).

- ▶ სახელმწიფოს შეუძლია, წარმოადგინოს პასუხი მომჩივანი ორგანიზაციის მიერ მიწოდებულ განმარტებებზე (ნესი 31§3).
- ▶ ორივე მხარის წერილობითი მოსაზრებების მიღების შემდეგ, კომიტეტი უფლებამოსილია, დასრულებულად გამოაცხადოს წერილობითი პროცედურა. ამის შემდეგ, დამატებითი არგუმენტების წარდგენა დაიშვება მხოლოდ განსაკუთრებულ შემთხვევებში და სათანადო დასაბუთების შემდეგ (ნესი 31§4).

2. მესამე მხარეთა ინტერვენციები

- ▶ საქმეზე მოსაზრებების წარდგენა შეუძლიათ დამატებითი ოქმის მხარე სახელმწიფოებს, ასევე, დამსაქმებელთა და პროფკავშირთა საერთაშორისო ორგანიზაციებს (ნესი 32§1-2).
- ▶ ECSR უფლებამოსილია, მოსაზრებათა წარდგენა სთხოვოს ნებისმიერ ორგანიზაციას, ინსტიტუტს ან პირს (*amici curiae*), რომელსაც შესაბამისად მიიჩნევს გადაწყვეტილების მიღების პროცესში (ნესი 32A). ამასთან, ორგანიზაციებს საკუთარი ინიციატივითაც შეუძლიათ აცნობონ კომიტეტს, რომ სურთ კოლექტიური საჩივრის განხილვაში მონაწილეობა, მესამე პირის სტატუსით. ამისათვის, ისინი უნდა დაუკავშირდნენ ევროპის სოციალური ქარტიის სამდივნოს.
- ▶ მესამე პირთა მიერ წარმოდგენილი ყველა მოსაზრება გადაეცემათ მხარეებს, რომლებსაც შეუძლიათ, კომიტეტის მიერ განსაზღვრულ ვადაში წარმოადგინონ პასუხები (ნესები 32§3-4 და 32A§2).

3. ზეპირი მოსმენა

- ▶ ზეპირი მოსმენის მოთხოვნა შეუძლია ნებისმიერ მხარეს, ან თავად კომიტეტს (ნესი 33§1). მოთხოვნა უნდა გაკეთდეს წერილობითი პროცედურის განმავლობაში, ან მისი დასრულებიდან ორი კვირის ვადაში.
- ▶ მოსმენაში მონაწილეობა შეუძლია როგორც სახელმწიფოს, ისე მომჩივან ორგანიზაციას. მონაწილეობის უფლება შეიძლება მიეცეთ მესამე პირებს (მაგ: სახელმწიფოს, ან ინტერვენციის განმახორციელებელ ორგანიზაციებს) (ნესი 33§2, §4).
- ▶ მოსმენა, ზოგადად, საჯაროა, თუ კომიტეტის პრეზიდენტი სხვაგვარად არ გადაწყვეტს (ნესი 33§3).

4. მსჯელობა და გადაწყვეტილება

- ▶ წერილობითი არგუმენტების წარდგენისა და ზეპირი მოსმენის შემდეგ (თუ გაიმართება), კომიტეტი მსჯელობს საჩივრის არსებით მხარეზე.
- ▶ გადაწყვეტილება ეცნობება ორივე მხარეს, ასევე, ევროპის საბჭოს მინისტრთა კომიტეტს. ამასთანავე, ის ქვეყნდება ევროპის სოციალური ქარტიის ვებგვერდზე და HUDOC-ESC-ის მონაცემთა ბაზაში.

გადაწყვეტილება	ეხება	მხარე	სახელმწიფოს	მიერ
ევროპის	სოციალური	ქარტიით	ნაკისრ	ვალდებულებათა
შესრულებას	და	შესაძლოა,	შეიცავდეს	რეკომენდაციებს.

დროებითი ღონისძიება

ECSR-ის რეგლამენტის 36-ე წესის შესაბამისად, დროებითი ღონისძიების მექანიზმის მიზანია, აიცილოს იმ პირთა შეუქცევადი ზარალი ან ზიანი, რომლებზეც გავლენა აქვს კოლექტიური საჩივრით გათვალისწინებულ საკითხებს. კომიტეტს უფლება აქვს, პროცედურის ნებისმიერ ეტაპზე დააწესოს დროებითი ღონისძიებები, როგორც საკუთარი ინიციატივით, ისე მხარის მოთხოვნით (წესი 36§1).

მომჩივანი ორგანიზაციის მიერ წარდგენილი მოთხოვნა უნდა:

- ▶ მკაფიოდ ასაბუთებდეს მოთხოვნის მიზეზებს;
- ▶ ხაზს უსვამდეს შესაძლო შედეგებს იმ შემთხვევისთვის, თუ არ მიიღება დროებითი ღონისძიებები;
- ▶ დეტალურად აღწერდეს შეთავაზებულ დროებით ღონისძიებებს (წესი 36§2).

მოთხოვნა დაუყოვნებლივ ეგზავნება შესაბამის სახელმწიფოს, რომელსაც ეძლევა წერილობითი განმარტების წარდგენის საშუალება. წარდგენის ვადას განსაზღვრავს კომიტეტის პრეზიდენტი (წესი 36§2). შუამდგომლობები დროებით ღონისძიებებზე ხშირად განიხილება დასაშვებობის პარალელურად, საქმის გაჭიანურების ასაცილებლად. კომიტეტის გადანყვეტილება დროებითი ღონისძიებების შესახებ დასაბუთებულია და მას ხელს აწერენ პრეზიდენტი, მომხსენებელი და აღმასრულებელი მდივანი. გადანყვეტილებას კომიტეტი ატყობინებს მხარეებს (წესი 36§3).

ECSR ასევე განსაზღვრავს, თუ რა ვადაში უნდა წარმოადგინოს სახელმწიფომ სრული ინფორმაცია იმ ნაბიჯებზე, რომლებიც გადადგა დროებითი ღონისძიებების გასატარებლად (წესი 36§3). დღემდე, ამ მექანიზმის ფარგლებში, კომიტეტს 20 მოთხოვნა წარედგინა დროებითი ღონისძიების გამოყენებაზე. ხუთ საქმეში კომიტეტმა დააკმაყოფილა მოთხოვნა, ერთში კი იმოქმედა საკუთარი ინიციატივით (Amnesty International v. Italy, საჩივარი №178/2019).

ეს მექანიზმი იცავს იმ პირთა უფლებებსა და კეთილდღეობას, რომელთა მდგომარეობაზეც გავლენას ახდენს კოლექტიური საჩივარი, და ადასტურებს, რომ ECSR მოწოდებულია სოციალურ უფლებათა დასაცავად, მათ შორის, გადაუდებელ სიტუაციებში.

3. სოციალურ უფლებათა	ევროპული	კომიტეტის
გადაწყვეტილება		

ECSR მნიშვნელოვან როლს ასრულებს ქარტიით ნაკისრ ვალდებულებათა შესრულებაზე მონიტორინგში, როგორც გადანყვეტილებების, ისე დასკვნების მიღებით. ამ გადანყვეტილებებსა და დასკვნებს არ აქვს შესასრულებლად სავალდებულო ძალა, თუმცა აქვს დიდი მორალური და პოლიტიკური წონა და სახელმწიფოებს მიმართულებას აძლევს საკუთარი ვალდებულებების შესასრულებლად სოციალურ უფლებათა დაცვის სფეროში.

კოლექტიური საჩივრების პროცედურის ფარგლებში, კომიტეტს შეუძლია, მიიღოს გადანყვეტილებები:

- ▶ დასაშვებობაზე;
- ▶ დროებით ღონისძიებებზე;
- ▶ დასაშვებობასა და დროებით ღონისძიებებზე;
- ▶ საჩივრის არსებით მხარეზე;
- ▶ დასაშვებობასა და არსებით მხარეზე;
- ▶ საჩივრის ამოღებაზე განსახილველ საქმეთა სიიდან.

ძირითადად, კომიტეტი იღებს ორ სხვადასხვა გადაწყვეტილებას: ერთს – დასაშვებობაზე, მეორეს კი – არსებით მხარეზე. თუმცა, გამონაკლის შემთხვევებში, იგი იღებს ერთიან გადაწყვეტილებასაც, რომელიც ეხება საჩივრის დასაშვებობასაც და არსებით მხარესაც.⁵ ზოგჯერ, კომიტეტი იღებს დროებით ღონისძიებებს, როგორც დამოუკიდებელი გადაწყვეტილების სახით, ისე დასაშვებობის გადაწყვეტილებასთან ერთად.

მსჯელობის შემდეგ, სოციალურ უფლებათა ევროპული კომიტეტი გამოსცემს გადაწყვეტილებას არსებითი მხარის შესახებ, სადაც ადგენს, დაირღვა თუ არა ევროპის სოციალური ქარტია. გადაწყვეტილება მოიცავს დასაბუთებას, რომელსაც ხელს აწერენ კომიტეტის პრეზიდენტი, მომხსენებელი და აღმასრულებელი მდივანი. გადაწყვეტილებას ერთვის ნებისმიერი განსხვავებული მოსაზრება.

ამის შემდეგ, კომიტეტი საჩივრის მხარეებსა და ევროპის საბჭოს მინისტრთა კომიტეტს გადასცემს ანგარიშს, რომელიც შეიცავს მის მიერ მიღებულ გადაწყვეტილებას. გადაწყვეტილება არსებით მხარეზე საჯაროვდება მას შემდეგ, რაც მინისტრთა კომიტეტი მიიღებს რეზოლუციას ან რეკომენდაციას. ნებისმიერ შემთხვევაში, გადაწყვეტილება საჯაროდ ქვეყნდება არაუგვიანეს ოთხი თვის განმავლობაში, მინისტრთა კომიტეტში გადაგზავნის დღიდან.

რამდენადაც კომიტეტის გადაწყვეტილებები მიუთითებს შესასრულებლად სავალდებულო სამართლებრივ დებულებებზე და მიღებულია ევროპის სოციალური ქარტიის საფუძველზე შექმნილი მონიტორინგის ორგანოს მიერ, შესაბამის სახელმწიფოებს მოეთხოვებათ ამ გადაწყვეტილებათა პატივისცემა. ამავდროულად, მათზე არ ვრცელდება აღსრულება ეროვნულ სამართლებრივ სისტემაში. თუმცა, ევროპის საბჭოს მინისტრთა კომიტეტი მონიტორინგს უწევს გადაწყვეტილებათა შესრულებას, რაც განამტკიცებს მათ გავლენას და ხელს უწყობს შესაბამისობას ქარტიის სტანდარტებთან.

4. არსებით მხარეზე გადაწყვეტილების მიღების უმადგომი პედაგოგი

მინისტრთა კომიტეტის მიერ 2022 წლის სექტემბერში გატარებული რეფორმის შემდეგ, თუ ECSR დაადგენს ქარტიის დარღვევას და მინისტრთა კომიტეტი გამოსცემს რეკომენდაციას, შესაბამისი მხარე სახელმწიფო ვალდებულია, ორი წლის შემდეგ წარადგინოს ერთჯერადი ანგარიში, სადაც დეტალურად აღიწერება დარღვევის აღმოსაფხვრელად მიღებული ზომები.

⁵ Mental Disability Advocacy Center (MDAC) v. Belgium, საჩივარი No. 109/2014, 2017 წლის 10 ოქტომბრის გადაწყვეტილება საჩივრის დასაშვებობისა და არსებითი მხარის შესახებ.

სოციალურ უფლებათა ევროპული კომიტეტი განიხილავს ანგარიშს, რათა შეაფასოს, შეუსაბამა თუ არა სახელმწიფომ არსებული მდგომარეობა ევროპის სოციალური ქარტიის მოთხოვნებს და ამ საკითხზე აქვეყნებს საკუთარ „მიგნებებს“. ეს მიგნებები ეგზავნება მინისტრთა კომიტეტს, რომელიც უფლებამოსილია, ECSR-ის შეფასებაზე დაყრდნობით, საქმე დახუროს რეზოლუციის გამოცემით, ან მიიღოს (მეორე) რეკომენდაცია.

მხარე სახელმწიფოთა მიერ წარდგენილი ანგარიშებიც და სოციალურ უფლებათა ევროპული კომიტეტის მიგნებებიც (შეფასებებიც) საჯაროდ ხელმისაწვდომია ევროპის სოციალური ქარტიის ვებგვერდზე.

5. კოლექტიური საჩივრების პროცედურასთან დაკავშირებული მითების გაქარწყლება. პრობლემები და უპირატესობები.

ევროპის სოციალური ქარტიის კოლექტიური საჩივრების პროცედურა სოციალურ უფლებათა დაცვისა და განმტკიცების ერთ-ერთი ყველაზე ტრანსფორმაციული ინსტრუმენტია ევროპაში, თუმცა შესაბამისი დამატებითი ოქმი რატიფიცირებული აქვს მხოლოდ 16 სახელმწიფოს. ოქმის მიღება გარკვეულ წინააღმდეგობებს აწყდება მის მიზანთან, ფუნქციასა და გავლენასთან დაკავშირებული მითებისა და არასწორი წარმოდგენების გამო. ეს სექცია სწორედ ამ საკითხებს აანალიზებს და ხაზს უსვამს პროცედურის მნიშვნელოვან უპირატესობებს.

მითი №1: პროცედურა სახელმწიფოებს გადატვირთავს საჩივრებით

შეშფოთების საგანი: სახელმწიფოები შიშობენ, რომ გადაიტვირთებიან საჩივრების გადაჭარბებული ოდენობის გამო.

რეალობა: პრაქტიკა აჩვენებს, რომ სისტემა სრულად მართვადია. 26 წლის განმავლობაში (2024 წლის ნოემბრის მდგომარეობით) კომიტეტს, ჯამურად, წარედგინა 243 საჩივარი – წლიურად, საშუალოდ, 10-მდე საჩივარი. გარდა ამისა, დასაშვებობის მკაცრი კრიტერიუმების წყალობით, კომიტეტამდე მხოლოდ საფუძვლიანი და სერიოზული საჩივრები აღწევს, საჩივრის შეტანის უფლება კი აქვთ მხოლოდ მკაცრად განსაზღვრულ ორგანიზაციებს, რაც, თავისთავად, უფრო ამცირებს საქმეთა რაოდენობას.

მითი №2: გადანყვეტილებები არაეფექტიანია, რადგან მათ არ აქვთ სავალდებულო იურიდიული ძალა

შეშფოთების საგანი: კომიტეტის გადანყვეტილებებს არ ახლავს აღსრულების მექანიზმი.

რეალობა: ECSR-ის გადანყვეტილებები არ არის სავალდებულო, განსხვავებით ადამიანის უფლებათა ევროპული სასამართლოს გადანყვეტილებებისგან, თუმცა ისინი ეფუძნება ქარტიის სავალდებულო ძალის მქონე დებულებებს და სახელმწიფოებისგან მოითხოვს შესაბამისი ზომების მიღებას. არაერთ სახელმწიფოში, ECSR-ის გადანყვეტილებათა საფუძველზე, შეიცვალა ეროვნული კანონმდებლობა, პოლიტიკა, ან პრაქტიკა. ზოგ ქვეყანაში ეროვნულმა სასამართლოებმა არაკონსტიტუციურად ცნეს შიდა კანონები,

რომლებიც ეწინააღმდეგებოდა ECSR-ის პრაქტიკას. ევროპის საბჭოს მინისტრთა კომიტეტის მიერ რეზოლუციებისა და რეკომენდაციების მიღება აძლიერებს პოლიტიკურ წნეხს გადანაცვეტილებათა შესასრულებლად.

მითი №3: სოციალური უფლებები უფრო ნაკლებად განიხილება სასამართლოში, ვიდრე სამოქალაქო ან პოლიტიკური უფლებები

შეშფოთების საგანი: სოციალური უფლებები, მათი ბუნებიდან გამომდინარე, ნაკლებად შეეფერება სასამართლოს მიერ განიხილვას.

რეალობა: სოციალურ უფლებებს სასამართლო არ განიხილავს სამოქალაქო და პოლიტიკურ უფლებებზე ნაკლებად. მათ დიდი ხანია განიხილავენ საერთაშორისო ორგანოები, მათ შორის: გაეროს კომიტეტები (CEDAW, CERD), შრომის საერთაშორისო ორგანიზაცია (ILO) და რეგიონული სასამართლოები. ქართიით გარანტირებული უფლებები, ადამიანის უფლებათა ევროპული კონვენციით გარანტირებულ უფლებათა მსგავსად, მოდის ადამიანის უფლებათა საყოველთაო დეკლარაციიდან, რაც ადასტურებს მათ თანაბარ სტატუსს. კოლექტიური საჩივრების პროცედურა განამტკიცებს ადამიანის ყველა უფლების განუყოფლობას, უზრუნველყოფს რა დაცვის იმავე დონეს ეკონომიკური და სოციალური უფლებებისთვისაც.

მითი №4: სოციალურ უფლებებზე მონიტორინგისთვის საკმარისია ეროვნული სისტემა

შეშფოთების საგანი: შიდა მექანიზმები ისედაც სათანადოდ იცავს სოციალურ უფლებებს.

რეალობა: კოლექტიური საჩივრების პროცედურა განამტკიცებს ეროვნულ სისტემებს, განსაკუთრებით, როცა სამართლებრივი დაცვის შიდასახელმწიფოებრივი საშუალებები არ კმარა ამისთვის. იგი აძლიერებს სოციალური პარტნიორებისა და სამოქალაქო საზოგადოების როლს, პირდაპირი წვდომის მიცემით საერთაშორისო მექანიზმზე, რომელიც განამტკიცებს მოწყვლადი ჯგუფების – ბავშვების, მიგრანტებისა შშმ პირების დაცვას. გარდა ამისა, ECSR-ის გადანაცვეტილებები ქმნის ორგანიზებულ სამართლებრივ ჩარჩოს, როგორც ეროვნული, ისე ევროპული სასამართლოებისთვის, და სთავაზობს ავტორიტეტულ განმარტებებს ადგილობრივ დონეზე აღსრულების გასაუმჯობესებლად.

მითი №5: პროცედურა ახალ ვალდებულებებს უწესებს სახელმწიფოებს

შეშფოთების საგანი: ECSR-ის გადანაცვეტილებები სახელმწიფოებს უწესებს ახალ ვალდებულებებს, ქართიის ფარგლებს მიღმა.

რეალობა: კომიტეტი ქართიას განმარტავს „ცოცხალ ინსტრუმენტად“, რომლის მნიშვნელობას მოარგებს თანამედროვე ღირებულებებსა და სტანდარტებს, სწორედ ისე, როგორც ადამიანის უფლებათა ევროპული სასამართლო. ეს მიდგომა უზრუნველყოფს, რომ ქართია ინარჩუნებდეს რელევანტურობასა და ეფექტიანობას თანამედროვე გამოწვევებზე რეაგირებისას და, ამავდროულად,

კვლავ ეფუძნებოდეს თავდაპირველ ტექსტსა და დანიშნულებას. ECSR-ის გადანაცვეტილებები არ ანეხებს ახალ ვალდებულებებს, ის განამტკიცებს სახელმწიფოთა ერთგულებას ღირსების, თანასწორობისა და სოციალური სამართლიანობის მიმართ.

მითი №6: პროცედურა ზედმეტად რთულია

შეშფოთების საგანი: პროცესი ზედმეტად ბიუროკრატიული და ნაკლებად ხელმისაწვდომია.

რეალობა: პროცედურის დიზაინი მინიმუმამდე ამცირებს ბიუროკრატია და ამარტივებს ხელმისაწვდომობას შესაბამისი ორგანიზაციებისთვის. საერთაშორისო ორგანიზაციებს საჩივრის წარდგენა შეუძლიათ ინგლისურად ან ფრანგულად, ეროვნულ ორგანიზაციებს კი – საკუთარი სახელმწიფოს ოფიციალურენაზე. არმოითხოვება სამართლებრივი დაცვის შიდა საშუალებათა ამოწურვა, და არც მომჩივანს სჭირდება მსხვერპლის სტატუსის ჩვენება. ამას გარდა, პროცედურას უფრო ხელსაყრელი საშუალო ხანგრძლივობა აქვს, სხვა საერთაშორისო მექანიზმებთან შედარებით.

კოლექტიური საჩივრების პროცედურის უპირატესობები:

1. დარღვევებზე პირდაპირი რეაგირებით, პროცედურა სახელმწიფოებს ანგარიშვალდებულებას აკისრებს ქარტიით აღებულ ვალდებულებათა შესრულებაზე.
2. ინდივიდუალური საჩივრებისგან განსხვავებით, პროცედურა იძლევა სისტემური და მასშტაბური პრობლემების გამოვლენა-გადაჭრის საშუალებას, რის შედეგადაც პოზიტიურ გავლენას ახდენს უფრო ფართო ჯგუფებზე.
3. პროცედურა მნიშვნელოვან როლს ასრულებს ბავშვების, მიგრანტების, შშმ პირებისა და სხვა მონწყვლადი ჯგუფების უფლებათა დაცვაში.
4. სოციალურ პარტნიორობა და არასამთავრობო ორგანიზაციათა ჩართულობა აძლიერებს დემოკრატიული მონაწილეობის ხარისხს და ხელს უწყობს კონსტრუქციულ დიალოგს სახელმწიფოსა და საზოგადოებას შორის.
5. პროცედურა ამცირებს ადამიანის უფლებათა ევროპული სასამართლოს დატვირთულობას, აგვარებს რა პრობლემას მანამ, სანამ გადაიზრდება მრავალ ინდივიდუალურ საჩივარში.

კოლექტიური საჩივრების პროცედურა ეფექტიანი და ხელმისაწვდომი მექანიზმია სოციალურ უფლებათა განსამტკიცებლად მთელი ევროპის მასშტაბით. კრიტიკულად მნიშვნელოვანია მასთან დაკავშირებული პრობლემებისა და არასწორი წარმოდგენების დაძლევა, რათა მეტი სახელმწიფო დათანხმდეს მის მიღებას და, ამით, განმტკიცდეს საერთო ერთგულება სოციალური სამართლიანობის, ანგარიშვალდებულებისა და სამართლის უზენაესობის მიმართ.

III. კოლექტიური საჩივრების პროცედურის მიღების შედეგები საქართველოსთვის

1. საქართველოს მიერ ევროპის სოციალური ქარტიით აღებული ვალდებულებების ზოგადი მიმოხილვა

საქართველოს ვალდებულება, ხელი მოეწერა ევროპის სოციალური ქარტიისთვის, მოეხდინა მისი რატიფიცირება და გაეთარებინა ქარტიის პრინციპების შესაბამისი პოლიტიკა, განისაზღვრა საპარლამენტო ასამბლეის 209(1999) მოსაზრებაში, რომელიც უკავშირდებოდა საქართველოს განაცხადს ევროპის საბჭოში გაწევრიანების შესახებ. შესწორებულ ქარტიას საქართველომ ხელი მოაწერა 2000 წელს, რასაც 2005 წლის 22 აგვისტოს მოჰყვა მისი რატიფიცირება, 98 დანომრილი პუნქტიდან 63-ის მიღებით.

შესაბამისად, საქართველოს მიმართ სავალდებულო იურიდიული ძალა აქვს შემდეგ მუხლებსა და პუნქტებს:

- მუხლი 1** - შრომის უფლება
- მუხლი 2** - უფლება შრომის სამართლიან პირობებზე, პუნქტები 2.1, 2.2, 2.5 და 2.7
- მუხლი 4** - უფლება შრომის სამართლიან ანაზღაურებაზე, პუნქტები 4.2, 4.3 და 4.4
- მუხლი 5** - ორგანიზების უფლება
- მუხლი 6** - კოლექტიური მოლაპარაკების უფლება
- მუხლი 7** - ბავშვებისა და ახალგაზრდების უფლება დაცვაზე
- მუხლი 8** - დასაქმებულ ქალთა უფლება დედობის დაცვაზე, პუნქტები 8.3, 8.4 და 8.5
- მუხლი 10** - პროფესიული ორიენტაციის უფლება, პუნქტები 10.2 და 10.4
- მუხლი 11** - ჯანმრთელობის დაცვის უფლება
- მუხლი 12** - სოციალური უზრუნველყოფის უფლება, პუნქტები 12.1 და 12.3
- მუხლი 14** - სოციალური უზრუნველყოფის მომსახურებებით სარგებლობის უფლება
- მუხლი 15** - შეზღუდული შესაძლებლობის მქონე პირთა დამოუკიდებლობის, სოციალური ინტეგრაციისა და საზოგადოებრივ ცხოვრებაში მონაწილეობის უფლება, პუნქტი 15.3
- მუხლი 17** - ბავშვებისა და ახალგაზრდების უფლება სოციალურ, იურიდიულ და ეკონომიკურ დაცვაზე, პუნქტი 17.1

- მუხლი 18** - სხვა მხარეთა ტერიტორიაზე ანაზღაურებადი საქმიანობის უფლება
- მუხლი 19** - შრომითი მიგრანტებისა და მათი ოჯახების უფლება დაცვასა და დახმარებაზე
- მუხლი 20** - თანაბარი შესაძლებლობებითა და თანასწორი მოპყრობით სარგებლობის უფლება დასაქმებისა და პროფესიული საქმიანობის სფეროში, სქესის ნიშნით დისკრიმინაციის გარეშე
- მუხლი 26** - სამუშაო ადგილზე ღირსების დაცვის უფლება
- მუხლი 27** - ოჯახური ვალდებულებების მქონე მუშაკთა უფლება თანაბარ შესაძლებლობებსა და თანასწორ მოპყრობაზე
- მუხლი 29** - ინფორმაციისა და კონსულტაციის მიღების უფლება კოლექტიური გათავისუფლების პროცედურებში

საქართველოს ჯერჯერობით არ მიუღია ქარტიის შემდეგი მუხლები და პუნქტები:

- მუხლი 2** - უფლება შრომის სამართლიან პირობებზე, პუნქტები 2.3 და 2.4
- მუხლი 3** - უფლება უსაფრთხო და ჯანსაღ სამუშაო გარემოზე
- მუხლი 4** - უფლება შრომის სამართლიან ანაზღაურებაზე, პუნქტი 4.5
- მუხლი 8** - დასაქმებულ ქალთა უფლება დედობის დაცვაზე, პუნქტები 8.1 და 8.2
- მუხლი 9** - პროფესიული ორიენტაციის უფლება
- მუხლი 10** - პროფესიული მომზადების უფლება, პუნქტები 10.1 და 10.3
- მუხლი 12** - სოციალური უზრუნველყოფის უფლება, პუნქტები 12.2 და 12.4
- მუხლი 13** - სოციალური და სამედიცინო დახმარების უფლება, პუნქტები 13.1–13.4
- მუხლი 15** - შეზღუდული შესაძლებლობის მქონე პირთა უფლებები, პუნქტები 15.1 და 15.2
- მუხლი 16** - ოჯახის უფლება სოციალურ, იურიდიულ და ეკონომიკურ დაცვაზე
- მუხლი 17** - ბავშვებისა და ახალგაზრდების უფლება სოციალურ, იურიდიულ და ეკონომიკურ დაცვაზე, პუნქტი 17.2
- მუხლი 21** - ინფორმაციისა და კონსულტაციის მიღების უფლება
- მუხლი 22** - სამუშაო პირობებისა და გარემოს განსაზღვრასა და გაუმჯობესებაში მონაწილეობის უფლება
- მუხლი 23** - ხანდაზმულ პირთა უფლება სოციალურ დაცვაზე
- მუხლი 24** - დაცვის უფლება შრომითი ურთიერთობის შეწყვეტის შემთხვევაში
- მუხლი 25** - მუშაკთა უფლება თავიანთი მოთხოვნების დაცვაზე დამსაქმებლის გადახდისუნარობის შემთხვევაში

მუხლი 28 - მუშაკთა წარმომადგენლების უფლება დაცვასა და შეღავათებზე სანარმოში

მუხლი 30 - სიღარიბისა და სოციალური გარიყულობისგან დაცვის უფლება

მუხლი 31 - უფლება საცხოვრებელზე

საქართველოს არ აქვს რატიფიცირებული დამატებითი ოქმი, რომელიც ითვალისწინებს კოლექტიური საჩივრების სისტემას.

მიღებულ დებულებათა ცხრილი

ნაცრისფრად აღნიშნულია მიღებული დებულებები

1.1	1.2	1.3	1.4	2.1	2.2	2.3	2.4	2.5	2.6	2.7	3.1
3.2	3.3	3.4	4.1	4.2	4.3	4.4	4.5	5	6.1	6.2	6.3
6.4	7.1	7.2	7.3	7.4	7.5	7.6	7.7	7.8	7.9	7.10	8.1
8.2	8.3	8.4	8.5	9	10.1	10.2	10.3	10.4	10.5	11.1	11.2
11.3	12.1	12.2	12.3	12.4	13.1	13.2	13.3	13.4	14.1	14.2	15.1
15.2	15.3	16	17.1	17.2	18.1	18.2	18.3	18.4	19.1	19.2	19.3
19.4	19.5	19.6	19.7	19.8	19.9	19.10	19.11	19.12	20	21	22
23	24	25	26.1	26.2	27.1	27.2	27.3	28	29	30	31.1
31.2	31.3										

2012, 2015 და 2021 წლების მიმოხილვებში ქართიის იმ დებულებათა შესახებ, რომლებიც საქართველოს არ აქვს მიღებული, სოციალურ უფლებათა ევროპულმა კომიტეტმა გამოავლინა რამდენიმე დებულება, რომელთა მიღებისთვისაც არ არსებობს მნიშვნელოვანი დამატბკოლებელი გარემოებები.⁶ ზოგ შემთხვევაში, კომიტეტმა ვერ შეძლო შესაბამისობის შეფასება, რადგან სახელმწიფომ არ მიაწოდა საკმარისი ინფორმაცია.⁷

იმ დებულებებთან მიმართებით, რომლებიც საქართველოს ჯერ არ მიუღია, კომიტეტმა საზი გაუსვა კოლექტიური საჩივრების პროცედურის მნიშვნელობას და ქვეყანას მოუწოდა, განიხილოს შესაბამისი დამატებითი ოქმის რატიფიცირების საკითხი.

6 საქართველო და ევროპის სოციალური ქარტია. <<https://www.coe.int/en/web/european-social-charter/georgia-and-the-european-social-charter>>

7 მესამე ანგარიში ევროპის სოციალური ქარტიის მიუღებელ დებულებათა შესახებ. საქართველო, 2021 წლის 29 სექტემბერი. სოციალურ უფლებათა ევროპული კომიტეტი. <<https://rm.coe.int/3rd-report-georgia-na-provisions-eng/1680a5d629>>

2. ზოგადი სტატისტიკა საქართველოს კანონმდებლობისა და მისი განხორციელების შესაბამისობაზე/შეუსაბამობაზე ევროპის სოციალური ქარტიის სტანდარტებთან

შესწორებული ქარტიის რატიფიცირების შემდეგ (2005), საქართველომ წარადგინა 16 რეგულარული ეროვნული ანგარიში, ასევე, ერთი სპეციალური ანგარიში ცხოვრების ღირებულების კრიზისზე (ქარტიის სისტემის რეფორმის შესაბამისად).

გარდა ეროვნული ანგარიშებისა, სხვადასხვა მესამე მხარე – საქართველოს პროფესიული კავშირების გაერთიანება, ახალგაზრდა იურისტთა ასოციაცია, სოციალური სამართლიანობის ცენტრი, პარტნიორობა ადამიანის უფლებებისთვის (PHR) და განათლებისა და მეცნიერების მუშაკთა პროფესიული კავშირი – სოციალურ უფლებათა ევროპულ კომიტეტს რეგულარულად აწვდიდა დამატებით ინფორმაციასა და კომენტარებს.

2021 წლიდან, თითოეულ ეროვნულ ანგარიშს ერთვის მესამე მხარეთა ერთი ან რამდენიმე ანგარიში. საქართველოს სახალხო დამცველის ოფისმა ბოლო წლებში ზედიზედ ოთხი ანგარიში წარადგინა და გახდა ეროვნულ დონზე არსებული ერთ-ერთი ყველაზე აქტიური ომბუდსმენის ინსტიტუტი წევრ სახელმწიფოთა შორის. სოციალური პარტნიორობისა და სამოქალაქო საზოგადოების ასეთი მაღალი ჩართულობა საქართველოში ადასტურებს მათ მზაობას, მონაწილეობდნენ კოლექტიური საჩივრების პროცედურაში და ხელი შეუწყონ ეროვნული კანონმდებლობისა და პრაქტიკის გაუმჯობესებას ქარტიის სტანდარტთა შესაბამისად.

ამავდროულად, აქტიური მონაწილეობის მიუხედავად, საქართველოს მიერ ქარტიით ნაკისრი ვალდებულებების შესრულების საერთო ხარისხი კვლავ საშუალო დონეზეა.

დასკვნები	განხილულ დებულებათა რაოდენობა	შესაბამისობა	შეფასებისგან თავშეკავება (ინფორმაციის ნაკლებობა)	შეუსაბამობა
2018	15	1	1	13
2019	29	5	5	19
2020	8		2	6
2021	7	1	2	4
2022	15	2	2	11
2023	29	12		17

2023 წლის დასკვნების მიხედვით⁸, სოციალურ უფლებათა ევროპული კომიტეტის მიერ შეუსაბამობაზე მიღებული 17 დასკვნიდან ნახევარზე მეტი უკავშირდებოდა ორ მუხლს და მათ დანომრილ პუნქტებს. ესენია: მუხლი 7 – ბავშვებისა და ახალგაზრდების უფლება დაცვაზე; და მუხლი 19 – შრომითი მიგრანტებისა და მათი ოჯახების უფლება დაცვასა და დახმარებაზე. ამ ორ მუხლს ეხებოდა შეუსაბამობაზე მიღებული ის დასკვნებიც, რომლებიც განპირობებული იყო ინფორმაციის ნაკლებობით.

მართალია, ამავე თემატურ ჯგუფზე მიღებულ 2019 წლის დასკვნებთან შედარებით, ზოგადი გაუმჯობესება აღინიშნა, თუმცა საქართველოში არსებული სიტუაცია დიდად არ შეცვლილა. ამავდროულად, დებულებათა სწორედ ამ ჯგუფის მიმართ გამოვლინდა შესაბამისობის ყველაზე მაღალი მაჩვენებელი – 40%-ზე მეტი.

„შრომითი უფლებების“ ჯგუფთან დაკავშირებით, 2022 წლის დასკვნებში კომიტეტმა გაიმეორა 2018 წლის მიგნებები. შეუსაბამობის სხვა სფეროების კონტექსტში, მან დაადგინა, რომ საქართველო არ შეესაბამებოდა 2.1, 4.3, 6.1, 6.2, და 6.4, მუხლებს, მე-5 მუხლთან მიმართებით კი თავი შეიკავა დასკვნის გაკეთებისგან.

ყველა ეს დებულება შედის მიზნობრივ კითხვარში, რომელსაც კომიტეტი პირველ ჯგუფზე ანგარიშგებისთვის უგზავნის მხარე სახელმწიფოებს, რომელთაც არ მიუღიათ კოლექტიური საჩივრების პროცედურა. ეს კითხვები ეფუძნება კომიტეტის წინა მოკვლევებს და შეუსაბამობის განმეორებით მიგნებებს სხვადასხვა სახელმწიფოში.

რამდენიმე შემთხვევაში, ECSR-მა განმეორებით გაუსვა ხაზი თავის მიგნებებსა და კითხვებს. მაგალითად, 2009, 2013, 2017 და 2021 წლების დასკვნებში მან კიდევ ერთხელ დაადგინა, რომ საქართველოში არსებული სიტუაცია არ შეესაბამებოდა შესწორებული ქარტიის 12.1 მუხლს. ამ დასკვნებში კომიტეტი ხაზს უსვამდა სხვადასხვა ხარვეზს საქართველოს სოციალური უზრუნველყოფის სისტემაში და განმარტავდა თავის მიდგომებს სოციალური უზრუნველყოფისა და სოციალური დახმარების ერთმანეთისგან გასამიჯნად. 2021 წლის დასკვნებში იგი უთითებდა კრიტერიუმებზე, რომლებსაც სოციალური უზრუნველყოფის სისტემა უნდა აკმაყოფილებდეს 12.1 მუხლის თანახმად. კომიტეტმა არაერთხელ გაუსვა ხაზი, რომ საქართველოს სოციალური უზრუნველყოფის სისტემა ვერ ფარავს საკმარისი ოდენობის რისკებს და ვერ უზრუნველყოფს ყველა მუშაკის დაცვას; ასევე, ის ითვალისწინებს არაადეკვატურ მინიმალური დონის სოციალურ შეღავათებს.

3. კოლექტიური საჩივრების პროცედურის მიღების როლი და გავლენა

ამ პროცედურის მიღება ევროპის სოციალური ქარტიის შესაბამისად, მნიშვნელოვნად გააძლიერებს სოციალურ უფლებათა დაცვას და განამტკიცებს

8 დასკვნები, 2023 წელი, „ბავშვები, ოჯახები და მიგრანტები“ – ბოლო დოკუმენტი, რომელიც მიღებულია ანგარიშგების ძველი პროცედურის ფარგლებში და მოიცავს ქარტიის დებულებათა ოთხ თემატურ ჯგუფს.

ევროპის საბჭოს ფართო მანდატს ადამიანის უფლებებში. პროცედურა აწესებს სტრუქტურირებულ და ეფექტიან მექანიზმს, რომელიც სახელმწიფოებს საშუალებას აძლევს, პროაქტიულად უპასუხონ უფლებათა დარღვევის საფრთხეებს; ასევე, ხელს უწყობს ჩართულობას, გამჭვირვალობასა და უკეთეს მმართველობას.

1. სოციალურ უფლებათა დაცვის გაუმჯობესება

პროცედურა სოციალურ უფლებებს აღიარებს ფუნდამენტურ უფლებებად და უზრუნველყოფს შესაძლო დარღვევების დროულ და სისტემურ განხილვას. იგი კიდევ ერთხელ უსვამს ხაზს უფლებათა განუყოფლობას და ხელს უწყობს ქარტიის ეფექტიან განხორციელებას.

2. დაინტერესებულ მხარეთა ინკლუზიური ჩართულობა

აძლევს რა სოციალურ პარტნიორებს (პროფკავშირებს, დამსაქმებელთა ორგანიზაციებსა და სხვა ჯგუფებს) საჩივართა განხილვაში მონაწილეობის შესაძლებლობას, პროცედურა აძლიერებს დემოკრატიულ ჩართულობას. ასეთი ინკლუზიური მიდგომა ხელს უწყობს პროცესის გამჭვირვალობასა და ლეგიტიმურობასა და უკეთ ინფორმირებული პოლიტიკის შემუშავებას.

3. ანგარიშგების ტვირთის შემსუბუქება სახელმწიფოებისთვის, რომელთაც მიღებული აქვთ კოლექტიური საჩივრების პროცედურა:

- ▶ 2023 წლიდან ქარტიის დებულებები იყოფა ორ ჯგუფად. მხარე სახელმწიფოები, რომელთაც არ მიუღიათ კოლექტიური საჩივრების პროცედურა, თითოეულ ჯგუფზე ანგარიშს წარადგენენ ორ წელიწადში ერთხელ. ეს ნიშნავს, რომ ყველა მიღებულ დებულებაზე ანგარიშგება ხდება ოთხ წელიწადში ერთხელ. სახელმწიფოები, რომლებსაც მიღებული აქვთ კოლექტიური საჩივრების პროცედურა, თითოეულ ჯგუფზე ანგარიშს წარადგენენ ოთხ წელიწადში ერთხელ, ანუ ყველა მიღებულ დებულებაზე ანგარიშგება ხდება რვა წელიწადში ერთხელ.
- ▶ ანგარიშგების მოთხოვნები უკავშირდება კოლექტიურ საჩივრებზე მიღებულ გადაწყვეტილებებს, რაც უზრუნველყოფს მიზანმიმართულ და რელევანტურ განახლებებს, და არა დატვირთულ პროცესს.
- ▶ შემდგომი (follow-up) ანგარიშების წარდგენა მოითხოვება დარღვევებზე რეკომენდაციების მიღებიდან ორი წლის შემდეგ, რაც ხელს უწყობს სახელმწიფოს ანგარიშვალდებულებას, გადაჭარბებული ადმინისტრაციული მოვალეობების დაკისრების გარეშე.

4. რეაგირება სისტემურ საკითხებზე, ცალკეული შემთხვევების ნაცვლად:

კოლექტიური საჩივრების პროცედურა, ინდივიდუალური საკითხების ნაცვლად, ორიენტირებულია ზოგად ან სისტემურ პრობლემებზე. ეს უზრუნველყოფს, რომ სახელმწიფოებმა ფართო გავლენის მქონე სტრუქტურული ხარვეზები აღმოფხვრან მანამ, სანამ განმეორებითი ინდივიდუალური საქმეები წარმოიშობა ადამიანის უფლებათა ევროპული კონვენციის ფარგლებში.

5. პოლიტიკის განმტკიცება დასაბუთებულ მითითებებზე დაყრდნობით.

სოციალურ უფლებათა ევროპული კომიტეტის გადაწყვეტილებები შეიცავს მკაფიო და პრაქტიკულ რეკომენდაციებს სახელმწიფოთა სოციალური პოლიტიკის გასაუმჯობესებლად. გადაწყვეტილებები ეფუძნება მტკიცებულებებს, შესაბამება ქართის დებულებებს და ქვეყნებს აძლევს კონკრეტულ მიმართულებებს არსებული ხარვეზების გამოსასწორებლად.

6. კარგი მმართველობისა და სოციალური დიალოგის ხელშეწყობა:

პროცედურა ხელს უწყობს „სამმხრივ დიალოგს“ სახელმწიფოებს, სამოქალაქო საზოგადოებასა და სოციალურ უფლებათა ევროპულ კომიტეტს შორის, ამართლებს პრობლემათა იდენტიფიცირებას და ეხმარება ერთობლივი გადაწყვეტილების შემუშავებას. ეს პროცესი აუმჯობესებს არა მხოლოდ ქართის განხორციელებას, არამედ სოციალურ პოლიტიკასა და პრაქტიკასაც.

7. სახელმწიფოს ანგარიშვალდებულებისა და ერთგულების ნახალისება:

კოლექტიური საჩივრების პროცედურის მიღებით, სახელმწიფო ავლენს ერთგულებას ადამიანის უფლებათა დაცვის მიმართ. პროცედურაში მონაწილეობა მიუთითებს სახელმწიფოს მზაობაზე, ითანამშრომლოს საერთაშორისო საზოგადოებასთან და პატივი სცეს ევროპის საბჭოს სტანდარტებს.

8. პრაქტიკული და ეფექტიანი მექანიზმი:

გამოცდილება აჩვენებს, რომ პროცედურა მართვადი, სამართლიანი და ქმედითია. იგი ქმნის დაბალანსებულ მოდელს, რომელიც უზრუნველყოფს ქართით ნაკისრი ვალდებულებების ისე შესრულებას, რომ სახელმწიფოებს არ ეკისრებოდეთ გადამეტებული ტვირთი.

კოლექტიური საჩივრების პროცედურის მიღებით, სახელმწიფოები აძლიერებენ არა მხოლოდ სოციალურ უფლებათა დაცვას, არამედ დემოკრატიულ სტაბილურობას, სოციალურ სამართლიანობასა და ანგარიშვალდებულებასაც, ევროპის საბჭოს საკვანძო ღირებულებათა შესაბამისად.

სახელმწიფოებს, რომელთაც მიღებული აქვთ დამატებითი ოქმი კოლექტიური საჩივრების სისტემის შესახებ, შეუძლიათ, მიაღწიონ შემდეგ შედეგებს:

- ▶ სოციალური პოლიტიკის ჩარჩოს გაუმჯობესება, სოციალურ უფლებათა ევროპული კომიტეტის პრაქტიკული და ქმედითი რეკომენდაციების საფუძველზე;
- ▶ საზოგადოებრივი პოლიტიკის ლეგიტიმაციის განმტკიცება, სამოქალაქო საზოგადოებისა და სოციალური პარტნიორების აქტიური მონაწილეობით მონიტორინგის პროცესში;
- ▶ სოციალურ უფლებათა სისტემური დაცვა, ქართიასთან შესაბამისობის უზრუნველყოფა სახელმწიფოებისთვის გადაჭარბებული ტვირთის დაკისრების გარეშე;
- ▶ საერთაშორისო დონეზე რეპუტაციის განმტკიცება, რაც უკავშირდება

ძლიერ ერთგულებას ადამიანის უფლებების, გამჭვირვალობისა და კარგი მმართველობის მიმართ.

4. კოლექტიური საჩივრების პროცედურის სარგებელი

- ▶ საქართველოს ჩამოუყალიბდება პოზიტიური იმიჯი, როგორც ქვეყანას, რომელიც ნერგავს ევროპის სოციალურ და შრომით სტანდარტებს;
- ▶ საქართველო გახდება პირველი პოსტსაბჭოთა სახელმწიფო, რომელმაც აღიარა კოლექტიური საჩივრების პროცედურა;
- ▶ ევროპის ყურადღება მიეპყრობა საქართველოს და მის წინსვლას, ევროკავშირის კანონმდებლობასთან ჰარმონიზებაში მიღწეული პროგრესის გამო;
- ▶ გაიზრდება საანგარიშო პერიოდების ხანგრძლივობა – სახელმწიფოები, რომლებისთვისაც მოქმედებს კოლექტიური საჩივრების პროცედურა, ქარტიის დებულებათა თითო ჯგუფზე ანგარიშებს წარადგენენ ოთხ წელიწადში ერთხელ. ეს ნიშნავს, რომ სახელმწიფოს მიერ მიღებულ ყველა დებულებაზე ანგარიშგება მოხდება რვა წელიწადში ერთხელ, ოთხი წლის ნაცვლად.
- ▶ მისი მიღება არ საჭიროებს დამატებით ფინანსურ ხარჯებს, რადგან კოლექტიური საჩივრების პროცედურის აღიარება არ ნიშნავს ახალი მატერიალური ვალდებულებების აღებას ევროპის სოციალური ქარტიის თანახმად.
- ▶ არ არსებობს კომპენსაციის მექანიზმი მომჩივნებისთვის.
- ▶ ECSR-ის გადაწყვეტილებებს კოლექტიური საჩივრების შესახებ არ აქვს სამართლებრივად სავალდებულო ძალა. ასეთი დარღვევების დადგენისას, არ მოქმედებს მკაცრი ვადები კომიტეტის გადაწყვეტილებათა შესასრულებლად.
- ▶ კომიტეტი შეძლებს მიზნობრივი რეკომენდაციების მიღებას. იგი დეტალურად განმარტავს შეუსაბამობებს, რომლებიც არსებობს საქართველოში, ერთი მხრივ, კანონმდებლობასა და პრაქტიკას და, მეორე მხრივ, ქარტიის დებულებებს შორის.
- ▶ პროცედურის მიღება ავტომატურად არ გულისხმობს დიდი ოდენობით კოლექტიური საჩივრების არსებობას. პირიქით, უმეტეს შემთხვევაში, რეგისტრირებული საჩივრებისა და, შესაბამისად, მიღებული გადაწყვეტილებების რაოდენობა დაბალია. კოლექტიური საჩივრების პროცედურა ბულგარეთმა 2000 წელს მიიღო, ხოლო ხორვატიამ – 2003 წელს, რის შემდეგაც, ოც წელზე მეტი ხნის განმავლობაში (2024 წლის ნოემბრის მდგომარეობით), ბულგარეთის მიმართ კომიტეტმა მიიღო რვა მატერიალური გადაწყვეტილება, ხორვატიის მიმართ კი – ოთხი.
- ▶ ხელი შეეწყობა საქართველოს სამოქალაქო საზოგადოებისა და პროფკავშირების განვითარებას და გაუმჯობესდება სოციალური და შრომითი უფლებების დაცვა.


IV. კოლექტიური საჩივრების პროცედურის განხორციელების კარგი პრაქტიკა

1. სტატისტიკა კომიტიტისთვის განხილულ უფლებებზე	სოციალურ ნარდგენილ	უფლებათა კოლექტიურ	ეპროკული საჩივრებში
--	--------------------	--------------------	---------------------


კოლექტიური საჩივრების პროცედურა დაწესდა დამატებითი ოქმით კოლექტიური საჩივრების სისტემის შესახებ, რომელიც მიღებულია 1995 წელს და ძალაში შევიდა 1998 წელს. 2006 წლისთვის რეგისტრირებული იყო 39 განაცხადი. ეს რაოდენობა ეტაპობრივად გაიზარდა და 2016–2023 წლებში მიაღწია 104-ს. 1998-დან 2023 წლამდე მთლიანობაში დარეგისტრირდა 233 კოლექტიური საჩივარი, 2023 წელს – 14, ხოლო 2024 წლის იანვრიდან ნოემბრამდე – კიდევ 10. შესაბამისად, 2024 წლის ნოემბრის ბოლოსთვის, საჩივრების საერთო რაოდენობა იყო 243.

კოლექტიური საჩივრების თითქმის ნახევარი შეტანილი იყო საფრანგეთისა (25.8%) და იტალიის (17.2%) წინააღმდეგ. საჩივართა რაოდენობით მეათე ადგილზე იყო საბერძნეთი (9.9%-ით). საერთო რაოდენობაში 5%-ს აღემატებოდა საჩივრები, რომლებიც წარდგენილი იყო ოთხი ქვეყნის წინააღმდეგ: ბელგია, პორტუგალია (6.4%), ფინეთი და ირლანდია (5.6%). ყველაზე ნაკლები რაოდენობის საჩივარი შეეხებოდა კვიპროსს (0.9%).


კოლექტიური საჩივრები ქვეყნების მიხედვით – 1998-2023



კოლექტიური საჩივრების 90%-ზე მეტი შეტანილი იყო განმცხადებელთა ორი ჯგუფის – საერთაშორისო არასამთავრობო ორგანიზაციებისა (50%) და ეროვნული პროფკავშირების (42%) მიერ. აღსანიშნავია, რომ დამსაქმებელთა ეროვნულმა ორგანიზაციებმა კოლექტიური საჩივრების მხოლოდ 2% შეიტანეს.



კოლექტიური საჩივრები ეხებოდა 1961 წლის ქარტიასა და 1996 წლის შესწორებულ ქარტიაში დაცულ უფლებებს. მათი უმეტესობა უკავშირდებოდა შრომით უფლებებს, კერძოდ მუხლებს: 1 (შრომის უფლება), 2 (უფლება შრომის სამართლიან პირობებზე), 4 (უფლება შრომის სამართლიან ანაზღაურებაზე), 5 (ორგანიზების უფლება), 6 (კოლექტიური მოლაპარაკების უფლება), 20 (თანაბარი შესაძლებლობებითა და თანასწორი მოპყრობით სარგებლობის უფლება დასაქმებისა და პროფესიული საქმიანობის სფეროში, სქესის ნიშნით დისკრიმინაციის გარეშე). მეორე მხრივ, ზოგიერთი დებულება არასოდეს გამხდარა კოლექტიური საჩივრების საგანი – მაგალითად, მე-8 მუხლი (დასაქმებულ ქალთა უფლება დედობის დაცვაზე) და 25-ე მუხლი (მუშაკთა უფლება თავიანთი მოთხოვნების დაცვაზე დამსაქმებლის გადახდისუუნარობის შემთხვევაში).



კოლექტიური საჩივრების ზრდის პარალელურად, გაიზარდა მათი განხილვის საშუალო ხანგრძლივობაც: თუ 1998-2023 წლებში დასაშვებობაზე გადაწყვეტილების მიღებას სჭირდებოდა 6.3 თვე, ხოლო არსებით მხარეზე გადაწყვეტილებების მიღებას – 21.3 თვე, 2024 წელს საშუალო დრომ დასაშვებობაზე გადაწყვეტილების მიღებისთვის გადააჭარბა 8 თვეს, ხოლო არსებით მხარეზე გადაწყვეტილების მიღებისთვის – 33 თვეს. ამავე დროს, დასაშვებად ცნობილი საჩივრების პროცენტული მაჩვენებელი 92%-დან (1998-2023) 83%-მდე (2019-2023) შემცირდა, ხოლო დარღვევების დადგენის მაჩვენებელი – 74%-დან 67%-მდე. გარდა ამისა, 2022 წლის რეფორმის შედეგად გაიზარდა ეროვნული ანგარიშების წარდგენის ინტერვალები, წარდგენის ვადები კი დაეფუძნა კოლექტიური საჩივრების პროცედურის მიღებას, რამაც ხელი შეუწყო გადატვირთულობის პრობლემის გადაჭრას.

2. სოციალურ უფლებათა ევროპული კომიტეტის მიერ კოლექტიურ საჩივრებზე მიღებულ გადაწყვეტილებათა აღსრულების მაგალითები

კომიტეტის თითოეული გადაწყვეტილება მოიცავს იმ ეროვნული მდგომარეობის უნიკალურ და დეტალურ ანალიზს, რომელსაც ეხება განმცხადებლის საჩივარი, ასევე, ასახავს ქარტიის შესაბამის სტანდარტებს, კომიტეტის პრაქტიკას და სხვა საერთაშორისო სტანდარტებს. შესაბამისად, თითოეული გადაწყვეტილება შეიძლება მნიშვნელოვან ინსტრუმენტად იქცეს ეროვნული კანონმდებლობისა და პრაქტიკის გაუმჯობესებისათვის. კომიტეტის გადაწყვეტილებათა ეფექტიანობა დამოკიდებულია იმაზე, თუ როგორ აღსრულებენ მათ მოპასუხე

სახელმწიფოები.

გადაწყვეტილების აღსრულება, ხშირად, საჭიროებს სახელმწიფოში არსებული კანონმდებლობისა ან პრაქტიკის შეცვლას, რასაც შეიძლება რამდენიმე წელი დასჭირდეს. სამწუხაროდ, ზოგიერთი სახელმწიფო წლების განმავლობაში ვერ ახერხებს მდგომარეობის ჰარმონიზებას ქარტიასთან, ან მხოლოდ ნაწილობრივ ასრულებს კომიტეტის გადაწყვეტილებებს. თუ სახელმწიფო წარმატებულად შეუსაბამებს არსებულ მდგომარეობას ევროპის სოციალური ქარტიის სტანდარტებს, კომიტეტი გადაწყვეტს, დაასრულოს აღსრულებაზე მონიტორინგი და პროცესი წყდება. სხვა შემთხვევაში, იგი საჭიროდ მიიჩნევს მონიტორინგის გაგრძელებას ანგარიშგების რეგულარული პროცედურის ფარგლებში.

1) Association for the Protection of all Children (APPROACH) Ltd v. Slovenia (საჩივარი № 95/2013, 2014 წლის 5 დეკემბრის გადაწყვეტილება ახსებით მხაზზე)

მომჩივანი ორგანიზაცია აცხადებდა, რომ სლოვენია არ ასრულებდა ევროპის სოციალური ქარტიის მე-17 მუხლით ნაკისრ ვალდებულებებს (ბავშვებისა და ახალგაზრდების უფლება სოციალურ, იურიდიულ და ეკონომიკურ დაცვაზე), ვინაიდან ცალსახად და მკაფიოდ არ კრძალავდა ბავშვთა ფიზიკური დასჯის ოჯახში, სკოლებსა და სხვა გარემოში. ამასთან, პრაქტიკაში ასეთი სასჯელის აღმოსაფხვრელად, სლოვენია არ იღებდა ყველა სათანადო და აუცილებელ ზომას.

ECSR-ის გადაწყვეტილებაში აღინიშნა, რომ კანონი „ოჯახში ძალადობის პრევენციის შესახებ“ და სისხლის სამართლის კოდექსი, რომლებზეც მიუთითებდა საჩივარი, კრძალავდა ბავშვთა მიმართ ძალადობის მძიმე ფორმებს, ეროვნულ სასამართლოებს კი ფიზიკური სასჯელის სანქცირება შეეძლოთ მხოლოდ იმ შემთხვევაში, თუ მიაღწევდა სიმძიმის გარკვეულ ზღვარს. ამ კრიტერიუმთა დაკმაყოფილების გარეშე, მსგავსი სასჯელი განიხილებოდა ადმინისტრაციული სამართალდარღვევის ქრილში (§51). კომიტეტმა დაადგინა ქარტიის მე-17 მუხლის დარღვევა, ვინაიდან მთავრობის მიერ მითითებული არცერთი კანონი ცალსახად და ყოვლისმომცველად არ კრძალავდა ბავშვთა ფიზიკური დასჯის ყველა ფორმას.

მონიტორინგის პირველ ეტაპზე, 2016 წლის მაისში, კომიტეტი მიესალმა მთავრობის განზრახვას, კანონმდებლობაში ცალსახად აეკრძალა ბავშვთა ფიზიკური დასჯა და დაეწყო შესაბამისი საკანონმდებლო ცვლილებების მომზადება.

იმავე წელს მთავრობამ ცვლილებები შეიტანა ორ კანონში და აკრძალა ბავშვთა ფიზიკური დასჯის ყველა ფორმა ოჯახსა და სხვა გარემოში. ოჯახში ბავშვთა ფიზიკური დასჯა ცალსახად აიკრძალა კანონში, რომლის საფუძველზეც ცვლილება განხორციელდა „ოჯახში ძალადობის პრევენციის შესახებ“ კანონში (ძალაში შევიდა 2016 წლის ნოემბერში). მისი 3a მუხლის თანახმად:

- „ბავშვთა ფიზიკური დასჯა მკაცრად აკრძალულია.
- ბავშვთა ფიზიკურ დასჯად ითვლება ნებისმიერი ფიზიკური, სასტიკი ან დამამცირებელი სასჯელი ან ბავშვის დასჯაზე მიმართული ქმედება, რომელიც

აღზრდის მეთოდის სახით მოიცავს ფიზიკური, ფსიქოლოგიური ან სექსუალური ძალადობისა თუ უგულვებელყოფის ელემენტებს“.

მონიტორინგის შემდგომ ეტაპზე, 2017 წლის სექტემბერში, კომიტეტმა დადებითად შეაფასა ორი კანონის საფუძველზე მიღებული ცვლილებები. შესაბამისად, მან დაადგინა, რომ სიტუაცია შეესაბამებოდა ქარტიას და გადაწყვიტა, დაესრულებინა ამ გადაწყვეტილების განხილვა.⁹

2) Centre on Housing Rights and Evictions (COHRE) v. Croatia (საჩივარი No. 52/2008, 2010 წლის 22 ივნისის გადაწყვეტილება ახლებით მხახვზე)

საჩივარი ეხებოდა ქარტიის მე-16 მუხლის (ოჯახის უფლება სოციალურ, იურიდიულ და ეკონომიკურ დაცვაზე) სავარაუდო დარღვევას, ცალკე აღებულს, ან ერთობლიობაში ქარტიის E მუხლთან (დისკრიმინაციის აკრძალვა). იგი ეფუძნებოდა დისკრიმინაციულ მოპყრობას ხორვატიაში ომის დროს იძულებით გადაადგილებული ეთნიკური სერბების მიმართ, რადგან მათ არ მიეცათ საშუალება, დაეკავებინათ თავიანთი ძველი, კონფლიქტამდე არსებული საცხოვრებლები. გარდა ამისა, მათ არ მისცეს ფინანსური კომპენსაცია საცხოვრებლის დაკარგვის გამო.

ECSR-მა დაადგინა 1961 წლის ქარტიის მე-16 მუხლის დარღვევა, იმის გამო, რომ საცხოვრებლით უზრუნველყოფის პროგრამა ნელა ხორციელდებოდა; ბუნდოვანი იყო, როდის მიიღებდნენ პროგრამის ფარგლებში საცხოვრებელს ბენეფიციარები; და პროგრამა არ ითვალისწინებდა გადაადგილებული ოჯახების მომეტებულ მოწყვლადობას, განსაკუთრებით, ეთნიკურად სერბი პირების შემთხვევაში.

კომიტეტი მიესალმა ძალისხმევას, რომელიც ხორვატიამ გაიღო საცხოვრებლით უზრუნველყოფის საკითხთა ეფექტიანად რეგულირებისათვის. მათ შორის იყო „საცხოვრებლით უზრუნველყოფის რეგიონული პროგრამის“ (RHP) მიღება, რომელმაც მიზნად დაისახა ლტოლვილთა და იძულებით გადაადგილებულ პირთა მოწყვლადი კატეგორიების საჭიროებათა დაკმაყოფილება. ამავდროულად, 2017 წელს კომიტეტმა ისევ გამოხატა შეშფოთება პროგრამის ნელა განხორციელების გამო.

2018 წელს მთავრობამ მიიღო „წლიური გეგმა“ და „საცხოვრებლით უზრუნველყოფის სამწლიანი გეგმა“, რომელთა მიზანი იყო 1150 ოჯახის საცხოვრებლით უზრუნველყოფა RHP-ის პროგრამის ფარგლებში. გარდა ამისა, დამტკიცდა „2017-2020 წლების სამოქმედო პროგრამა ეროვნული უმცირესობებისათვის“, რომელიც ითვალისწინებდა ეროვნულ უმცირესობათა უფლებრივი მდგომარეობის შენარჩუნება-გაუმჯობესებას, ასევე, სპეციალურ პროგრამებს სერბი, იტალიელი, ჩეხი, სლოვაკი, უნგრელი, ალბანელი და ბოშა ეროვნული უმცირესობებისთვის. RHP-ის პროგრამისა და „საცხოვრებლით უზრუნველყოფის ეროვნული პროგრამის“ ბენეფიციარები შეარჩია „ბენეფიციართა შერჩევის ერთობლივმა სამუშაო ჯგუფმა“ (UNHCR და SDUO-SZ), წინასწარ დადგენილი პროცედურებით, სადაც ძირითადი კრიტერიუმი

⁹ მე-2 შეფასება და შემდგომი ზედამხედველობა (2017): Association for the Protection of all Children (APPROACH) Ltd v. Slovenia, საჩივარი No.95/2013. <<https://hudoc.esc.coe.int/eng?i=cc-95-2013-As-sessment2-en>>

მონყვლადობა იყო.

მთავრობის ინფორმაციით, ბოლო 17 წლის განმავლობაში 76 მილიონი ევრო მოხმარდა დროებითი საცხოვრებლის მქონე ოჯახების განსახლებას, რის შედეგადაც, კანონიერ მფლობელებს დაუბრუნდათ კუთვნილი ქონება. დაინერგა ეფექტიანი სამართლებრივი საშუალებები უკანონოდ დაკავებული ქონების ჩამოსართმევად და კონფისკაციით მიყენებული ზიანის ასანაზღაურებლად. „ექსპროპრიაციის შესახებ 1995 წლის აქტის“ შესაბამისად, ამჟამად არ მიმდინარეობს არცერთი გამოსახლების პროცედურა. საკონსტიტუციო და უზენაესი სასამართლოების პრაქტიკაში ცვლილებები შევიდა კონფისკაციით მიყენებული ზიანის ანაზღაურების საკითხებთან დაკავშირებით. ყოველივე ზემოაღნიშნულზე დაყრდნობით, კომიტეტმა დაადგინა, რომ მნიშვნელოვანი ძალისხმევაა გაღებული დაბრუნებული, იძულებით გადაადგილებული და ლტოლვილი პირების, ასევე, ომით დაზარალებული სხვა სამიზნე ჯგუფების საცხოვრებელი უზრუნველყოფისათვის და 2019 წელს მიიღო გადაწყვეტილება შემდგომი მონიტორინგის შეწყვეტაზე.

3) Associazione Nazionale Giudici di Pace v. Italy (საჩივარი No. 102/2013, 2016 წლის 5 ივლისის გადაწყვეტილება ახლებით მხაჩზე)

საჩივარი ეხებოდა ევროპის სოციალური ქარტიის მე-12 მუხლს (სოციალური უზრუნველყოფის უფლება). მომჩივანი ორგანიზაცია – Associazione Nazionale Giudici di Pace (მშვიდობის მოსამართლეთა ეროვნული ასოციაცია) – ამტკიცებდა, რომ იტალიის კანონმდებლობა არ ითვალისწინებდა სოციალურ უზრუნველყოფასა და კეთილდღეობას ამ კატეგორიის საპატიო მოსამართლეებისთვის, რაც არღვევდა ქარტიის შესაბამის დებულებას.

ECSR-მა დაადგინა ქარტიის E მუხლის დარღვევა, 12.1 მუხლთან ერთობლიობაში, იმ პირთა მიმართ, რომლებიც ასრულებდნენ მშვიდობის მოსამართლის (Justice of the Peace) მოვალეობებს და არ სარგებლობდნენ ალტერნატიული სოციალური უზრუნველყოფით. მიუხედავად იმისა, რომ ზოგიერთი მათგანი ასრულებდა სრულუფლებიან მოსამართლეთა (tenured judge) და სხვა კატეგორიის არაპროფესიონალ მოსამართლეთა (lay judge) ეკვივალენტურ მოვალეობებს, ისინი მოკლებულნი იყვნენ სოციალურ დაცვას, როგორიცაა დახმარება ავადმყოფობის შემთხვევაში, დედობის დახმარება და ხანდაზმულობის პენსია. მთავრობის ინფორმაციით, 2017 წლის 13 ივლისს მიიღეს ახალი, №116 საკანონმდებლო დადგენილება, რომელიც მოიცავდა გარდამავალ ნორმებს არაპროფესიონალ მოსამართლეთა შესახებ. მისი 25-ე მუხლის შესაბამისად, მშვიდობის მოსამართლეები (მოქმედი არაპროფესიონალი მოსამართლეები), რომლებიც ვერ სარგებლობდნენ იურისტთა კეთილდღეობისა და დახმარების ეროვნული ფონდით (Cassa Forense), შეუერთდნენ სოციალური კეთილდღეობის ეროვნული ინსტიტუტის (INPS) ცალკე სქემას და მიენიჭათ ისეთივე დაზღვევა, როგორიცაა სარგებლობენ თვითდასაქმებული მუშაკები. მთავრობამ ანგარიშში აღწერა ყველა ცვლილება, შესული იმ წესებში, რომლებიც არეგულირებს შენატანების მაქსიმალურ და მინიმალურ ოდენობებს, შეღავათების ოდენობას შენატანების ხანგრძლივობის მიხედვით, დედობის დახმარებას და ა.შ.

კომიტეტმა აღნიშნა, რომ ევროკავშირის მართლმსაჯულების სასამართლომ

2020 წლის 16 ივლისის გადაწყვეტილებაში (საქმე UX v. Italy, C-658/18) მიიჩნია, რომ იტალიაში მშვიდობის მოსამართლეები შეიძლება ჩაითვალოს „ვადიანი ხელშეკრულების საფუძველზე დასაქმებულ მუშაკებად“, ვინაიდან ისინი ასრულებენ „რეალურ და ნამდვილ მომსახურებას, რომელიც არ არის პირწმინდად მარგინალური ან დამხმარე ბუნების, და რომლისთვისაც იღებენ კომპენსაციას, ანაზღაურების სახით“. შესაბამისად, მათ არ უნდა მოეპყრონ ჩვეულებრივი მოსამართლეებისგან განსხვავებულად, „გარდა იმ შემთხვევისა, როდესაც ასეთი მოპყრობა გამართლებულია განსხვავებული კვალიფიკაციითა და მოვალეობებით.“

წარდგენილი ინფორმაციის საფუძველზე, კომიტეტმა დადებითად შეაფასა სავალდებულო დაზღვევის შემოღება, რომელმაც გადაჭრა ძირითადი პრობლემა – კერძოდ, დაზღვევის არარსებობა მშვიდობის მოსამართლეებისთვის. 2020 წელს კომიტეტმა დაადგინა, რომ არსებული სიტუაცია უკვე შეესაბამება ქარტიის და მიიღო გადაწყვეტილება, შეენიჭა შემდგომი მონიტორინგი ამ საჩივარზე. ამავდროულად, კომიტეტმა ხაზგასმით აღნიშნა, რომ მონიტორინგს სოციალური უზრუნველყოფის ცალკე სქემის დანერგვაზე გააგრძელებს რეგულარული ანგარიშგების პროცედურის ფარგლებში, განსაკუთრებით, მე-12 მუხლთან დაკავშირებული თემატური ანგარიშების მეშვეობით.

4) *Defence for Children International (DCI) v. the Netherlands* (საჩივარი No. 47/2008, 2009 წლის 20 ოქტომბრის გადაწყვეტილება ახლებით მხაზზე)

საჩივრის თანახმად, ნიდერლანდების კანონმდებლობა ქვეყანაში არალეგალურად მცხოვრებ ბავშვებს ართმევდა უფლებას საცხოვრებელზე (მუხლი 31) და, შესაბამისად, რიგ დამატებით უფლებებს, რომლებსაც ითვალისწინებს მუხლები: 11 (ჯანმრთელობის უფლება), 13 (სოციალური და სამედიცინო დახმარების უფლება), 16 (ოჯახის უფლება სათანადო სოციალურ, იურიდიულ და ეკონომიკურ დაცვაზე), 17 (ბავშვებისა და ახალგაზრდების უფლება სათანადო სოციალურ, იურიდიულ და ეკონომიკურ დაცვაზე) და 30 (სიღარიბისა და გარიყულობისგან დაცვის უფლება), ცალკე აღებული, ან ერთობლიობაში ქარტიის E მუხლთან (დისკრიმინაციის აკრძალვა).

ECSR-მა დაადგინა ქარტიის 31.2 და 17.1 მუხლების დარღვევა, რადგან ნიდერლანდებში არალეგალურად მცხოვრები ბავშვები, რომლებიც სახელმწიფოს იურისდიქციის ქვეშ იმყოფებოდნენ, არ იყვნენ უზრუნველყოფილნი თავშესაფრით.

ნიდერლანდების უზენაესმა სასამართლომ 2012 წლის 21 სექტემბერს დაადგინა, რომ სახელმწიფოს ჰქონდა ვალდებულება, დაეცვა მის იურისდიქციაში მყოფი ბავშვების, მათ შორის, არალეგალურად მცხოვრები არასრულწლოვნების უფლებები და ინტერესები, და რომ ბავშვები ვერ იქნებოდნენ პასუხისმგებელნი თავიანთი მშობლების ქცევაზე. ამ გადაწყვეტილების საფუძველზე, ნიდერლანდებში გაფართოვდა ოჯახების, ბავშვებისა და მათი მშობლების მიმღებ დაწესებულებათა მოქმედების არეალი. ბავშვებისთვის უზრუნველყოფილია თავშესაფარი, რათა ისინი არ აღმოჩნდნენ მწვავე ჰუმანიტარულ მდგომარეობაში, მშობლების მიერ მიღებული გადაწყვეტილებების შედეგად.

მთავრობამ ასევე აღნიშნა, რომ დეპორტაციის მომლოდინე ოჯახების მოთავსება შესაძლებელია დახურულ საოჯახო ცენტრში (closed family center), რომელიც 2014 წლის ოქტომბერში გაიხსნა, თუმცა მხოლოდ საგანგებო სიტუაციებში და მკაცრი კრიტერიუმების საფუძველზე, სანამ მათ დააბრუნებენ. ამას გარდა, ზრდასრულის თანხლების გარეშე მყოფ არასრულწლოვნებს უფლება აქვთ, თავშესაფრით ისარგებლონ სრულწლოვანების მიღწევამდე. სათანადო ზრუნვის მისაღებად, ასეთი ბავშვები მოექცევიან თავშესაფრის მაძიებელთა მიღების ცენტრალური სააგენტოს ზრუნვის ქვეშ, რომელიც მათ მინდობით აღზრდაში განათავსებს. ამ მხრივ, კომიტეტმა დაადგინა, რომ სიტუაცია უკვე შეესაბამება ქართის 31.2 და 17.1 მუხლებს. შედეგად, საქმის განხილვა შეწყდა 2016 წელს.

ზოგ შემთხვევაში, მხარე სახელმწიფოებმა შეძლეს ცვლილებების შეტანა ეროვნულ კანონმდებლობაში და არსებული სიტუაციის შესაბამისობაში მოყვანა ქართის დებულებებთან, თუმცა ზოგიერთი გადაწყვეტილება წლებია, შეუსრულებელი რჩება.

5) International Association Autism–Europe v. France (საჩივარი No. 13/2002, 2003 წლის 4 ნოემბრის გადაწყვეტილება ახლებით მხახვებზე)

საჩივარი ეხებოდა შესწორებული ქართის მე-15 მუხლს (შეზღუდული შესაძლებლობის მქონე პირთა უფლება), მე-17 მუხლს (ბავშვებისა და ახალგაზრდების უფლება სოციალურ, სამართლებრივ და ეკონომიკურ დაცვაზე) და E მუხლს (დისკრიმინაციის აკრძალვა). მომჩივანი ორგანიზაცია ამტკიცებდა, რომ აუტიზმის მქონე პირებისთვის არ იყო უზრუნველყოფილი საკმარისი განათლება, რაც არღვევდა ზემოაღნიშნულ დებულებებს.

კომიტეტმა დაადგინა 15.1 და 17.1 მუხლების დარღვევა, ცალკე აღებული, ან E მუხლთან ერთობლიობაში, რაც განპირობებული იყო ორი მიზეზით: ა) აუტიზმის მქონე იმ ბავშვების წილი, რომლებიც ჩვეულებრივ ან სპეციალიზებულ სკოლებში სწავლობდნენ, იყო უკიდურესად დაბალი და მნიშვნელოვნად ჩამორჩებოდა სხვა, მათ შორის, შეზღუდული შესაძლებლობის მქონე ან არმქონე ბავშვების წილს; ბ) აღინიშნებოდა ზრუნვისა და მხარდაჭერის სერვისების ქრონიკული დეფიციტი აუტიზმის მქონე ზრდასრულებისთვის.

2024 წელს, შემდგომი მონიტორინგის მეოთხე ეტაპზე, კომიტეტმა აღნიშნა, რომ საფრანგეთის ხელისუფლების ძალისხმევა აუტიზმის მქონე ბავშვების განათლების კუთხით გაგრძელდა „2018-2022 წლების აუტიზმის გეგმის“ ფარგლებში. ამ პერიოდში გაიზარდა აუტიზმის მქონე ბავშვების საერთო საგანმანათლებლო დაწესებულებებში ჩარიცხვის მაჩვენებელი, ასევე, ASD-ის (აუტისტური სპექტრის ალბილობა) საგანმანათლებლო ერთეულების რაოდენობა საბავშვო ბაღებსა და დაწყებით სკოლებში. კომიტეტმა აღნიშნა, რომ შემუშავდა და ამოქმედდა სისტემები, რომლებიც მიზნად ისახავდა აუტიზმის მქონე ბავშვების სკოლებში ინტეგრაციას, ინდივიდუალურ ზედამხედველობასა და მხარდაჭერას; ამასთან, ხაზი გაუსვა, რომ არსებული სტატისტიკური მონაცემები შეზღუდულ ინფორმაციას იძლეოდა აუტიზმის მქონე ზრდასრულთა ზრუნვისა და მხარდაჭერის დაწესებულებათა რაოდენობაზე. შესაბამისად, სახელმწიფო ნერგავდა ინფორმაციის შეგროვების

სხვა სისტემებს. კომიტეტმა სახელმწიფოს სთხოვა, მომდევნო ანგარიშში განახლებული ინფორმაცია წარმოედგინა აუტიზმის მქონე ზრდასრულთა ზრუნვისა და მხარდაჭერის დაწესებულებებზე (ხელმისაწვდომი ადგილების რაოდენობაზე), ასევე, ამ სფეროში არსებულ საჭიროებებზე. შესაბამისად, კომიტეტმა დაადგინა, რომ სიტუაცია ჯერ კიდევ არ შეესაბამებოდა დარღვეულ მუხლებს და გააგრძელა მონიტორინგი.

3. კარგი პრაქტიკის მაგალითები შრომით უფლებათა დაცვში

სოციალურ უფლებათა ევროპული კომიტეტისთვის წარდგენილი კოლექტიური საჩივრების უმეტესობა ეხებოდა ევროპის სოციალური ქარტიით დაცულ სხვადასხვა უფლებას, როგორცაა: შრომის უფლება (მუხლი 1), განსაკუთრებით, 1.2 მუხლი, დასაქმებაში დისკრიმინაციის ყველა ფორმის აღმოფხვრის კონტექსტში; უფლება შრომის სამართლიან პირობებზე (მუხლი 2); უფლება შრომის სამართლიან ანაზღაურებაზე (მუხლი 4); ორგანიზების უფლება (მუხლი 5); თანაბარი შესაძლებლობებითა და თანასწორი მოპყრობით სარგებლობის უფლება დასაქმებისა და პროფესიული საქმიანობის სფეროში, სქესის ნიშნით დისკრიმინაციის გარეშე (მუხლი 20); კოლექტიური მოლაპარაკების უფლება (მუხლი 6); დაცვის უფლება შრომითი ურთიერთობის შეწყვეტის შემთხვევაში (მუხლი 24) და სხვა.

1) *Syndicat national des Professions du Tourisme v. France* (საჩივარი No. 6/1999, 2000 წლის 10 ოქტომბრის გადაწყვეტილება ახლებით მხაზზე)

მომჩივნის მტკიცებით, დაირღვა ევროპის სოციალური ქარტიის მუხლები 1.2 (დისკრიმინაციის ყველა ფორმის აკრძალვა დასაქმებაზე წვდომისას), 10 (პროფესიული მომზადების უფლება) და E (დისკრიმინაციის აკრძალვა). კერძოდ, საჩივარი ეხებოდა გიდი-თარჯიმნებისა და ლექტორების სავარაუდო დისკრიმინაციას სამუშაოზე წვდომისა და პროფესიული მომზადების კუთხით. კომიტეტმა გადაწყვეტილებაში ხაზი გაუსვა, რომ მუშაკთა უფლება, გამოიმუშაონ საარსებო სახსრები თავისუფლად არჩეული საქმიანობით, მოითხოვს, *inter alia*, დასაქმებაში დისკრიმინაციის ყველა ფორმის აღმოფხვრას, პროფესიული ურთიერთობის სამართლებრივი ბუნების მიუხედავად. თანაბარ სიტუაციაში მყოფ პირთა განსხვავებული მოპყრობა არღვევს ქარტიას, თუ ეს არ ემსახურება ლეგიტიმურ მიზანს და არ ეფუძნება ობიექტურ და გონივრულ საფუძვლებს (§24-25). განსხვავებულ მოპყრობასთან დაკავშირებული საკითხის გადასაჭრელად – რაც განპირობებული იყო, ერთი მხრივ, *Villes et Pays d'Art et d'Histoire* ქსელის გიდი-ლექტორებისა და, მეორე მხრივ, სახელმწიფო დიპლომის მქონე გიდი-თარჯიმნებისა და ლექტორების განსხვავებული მოპყრობით – საფრანგეთმა რეფორმები გაატარა გიდის პროფესიაში. 2015 წელს კომიტეტმა დაადგინა, რომ სიტუაცია უკვე შეესაბამებოდა ქარტიის 1.2 მუხლს.

2) *Confédération générale du travail (CGT) v. France* (საჩივარი No. 55/2009, 2010 წლის 23 ივნისის გადაწყვეტილება საქმის ახლებით მხაზზე)

საჩივარი შეეხებოდა მე-2 (უფლება შრომის სამართლიან პირობებზე) და მე-4 (უფლება შრომის სამართლიან ანაზღაურებაზე) მუხლებს. კერძოდ, CGT (Con-

fédération Générale du Travail) ამტკიცებდა, რომ საფრანგეთში 2008 წლის 20 აგვისტოს მიღებული ახალი რეგულაციები სამუშაო დროის შესახებ (კანონი №2008-789) არღვევდა ამ დებულებებს.

კომიტეტმა თავის გადაწყვეტილებაში შეაფასა წლიური სამუშაო დღეების სისტემა და განიხილა მოლოდინის პერიოდების დასვენების პერიოდებთან გათანაბრების საკითხი.

მან აღნიშნა, რომ ეროვნული კანონები და რეგულაციები სამ კრიტერიუმს უნდა აკმაყოფილებდეს ქარტიასთან შესაბამისობისათვის. მათ შორისაა სამუშაო დროის საშუალო ხანგრძლივობის გამოთვლა გონივრულ ათვლის პერიოდზე (reference point) დაყრდნობით (§ 50). კომიტეტი იმეორებს 2004 წლის 7 დეკემბრის გადაწყვეტილებაში (საჩივარი № 22/2003 CGT საფრანგეთის წინააღმდეგ) გამოხატულ პოზიციას, რომ მოლოდინის პერიოდი (périodes d'astreinte), რა დროსაც თანამშრომლებს არ მოეთხოვებათ სამუშაოს შესრულება დამსაქმებლისთვის, ვერ ჩაითვლება დასვენების პერიოდად ქარტიის მე-2 მუხლის მნიშვნელობით, მიუხედავად იმისა, რომ არ მიეკუთვნება ეფექტიან სამუშაო დროს. მოლოდინის პერიოდი არის დრო, როდესაც თანამშრომლებს ევალებათ დამსაქმებლის განკარგულებაში ყოფნა, რათა, საჭიროებისას, შეასრულონ შესაბამისი სამუშაო. ეს ვალდებულება, თუნდაც სამუშაოს შესრულების ალბათობა მხოლოდ ჰიპოთეტური იყოს, ცალსახად უშლის ხელს თანამშრომელს, რომ თავისი არჩევანისა და გეგმის შესაბამისად ისაქმიანოს იმ დროში, რომელიც აქვს ფიქსირებული სამუშაო პერიოდის დაწყებამდე; ამასთანავე, ეს ქმნის მსგავსი დამოკიდებულებისთვის დამახასიათებელ ბუნდოვანებას. ეფექტიანი სამუშაოს არარსებობა, რომელიც რეტროსპექტიულად განისაზღვრება დროის იმ მონაკვეთისთვის, რომელსაც დასაქმებული წინასწარ არ განკარგავდა, ვერ ჩაითვლება ლეგიტიმურ კრიტერიუმად ასეთი პერიოდის დასვენების პერიოდად კლასიფიცირებისთვის (§ 65).

კომიტეტმა ამ საქმეში დაადგინა, რომ მოლოდინის პერიოდების დასვენების პერიოდებთან გაერთიანება არღვევს გონივრული სამუშაო დროის უფლებას, რომელსაც იცავს შესწორებული ქარტიის 2.1 მუხლი.

3) University Women of Europe (UWE) v. Ireland (საჩივარი No. 132/2016, 2019 წლის 5 დეკემბრის გადაწყვეტილება ახლებით მხახვზე)

2016 წელს ევროპის ქალთა უნივერსიტეტმა 16 საჩივარი წარადგინა სხვადასხვა სახელმწიფოს წინააღმდეგ ქარტიის 1, 4, 20 და E მუხლებზე, დასაქმებაში სქესის ნიშნით დისკრიმინაციის კონტექსტში.

თავის გადაწყვეტილებაში კომიტეტმა ხაზი გაუსვა ქალებისა და კაცების უფლებას თანაბარი სამუშაოსა ან თანაბარი ღირებულების სამუშაოსთვის თანაბარი ანაზღაურების მიღებაზე, რაც სამართლიანი ანაზღაურების არსებითი ელემენტია. ამ საკითხის შესახებ პრეტენზიები მან შეაფასა სახელმწიფოთა შემდეგი მოვალეობების ქრილში: თანაბარი ანაზღაურების უფლების აღიარება და უზრუნველყოფა შესწორებული ქარტიის 4.3 და 20.c მუხლების შესაბამისად; ხელშეწყობა თანაბარი ანაზღაურების, ასევე, კარიერულ

წინსვლაში თანაბარი შესაძლებლობებისა და თანასწორი მოპყრობისთვის (მათ შორის, კერძო კომპანიებში გადანყვეტილებათა მიმღებ პოზიციებზე ქალთა წარმომადგენლობის კუთხით) (ESC-ის 20.d მუხლი).

კომიტეტმა ხაზი გაუსვა, რომ „ანაზღაურების“ ცნება მოიცავს ანაზღაურების ყველა ელემენტს – როგორც ძირითად ხელფასს, ისე ნებისმიერ სხვა სარგებელს, რომელსაც დამსაქმებელი პირდაპირ ან არაპირდაპირ, ფულადი ან არაფულადი სახით უხდის დასაქმებულს სამუშაოს შესრულებისთვის. გარდა ამისა, გამჭვირვალობა მნიშვნელოვანი ინსტრუმენტია გენდერული მიკერძოებისა და დისკრიმინაციის გამოსავლენად და ხელს უწყობს მაკორექტირებელი ზომების მიღებას როგორც მუშაკების, ისე დამსაქმებლებისა და მათი ორგანიზაციების, ასევე, შესაბამისი სახელმწიფო უწყებების მხრიდან. გამჭვირვალე ანაზღაურების არარსებობა მნიშვნელოვნად აბრკოლებს ხელფასში დისკრიმინაციის მსხვერპლს დისკრიმინაციის დამტკიცებასა და საკუთარი უფლებების ეფექტიანად აღსრულებაში. ანაზღაურების გამჭვირვალობა სოციალურ პარტნიორობასა და დასაქმებულებს საშუალებას აძლევს, მიმართონ შესაბამის ზომებს, მათ შორის, ეროვნულ სასამართლოებს, ამიტომ, უზრუნველყოფილი უნდა იყოს პრაქტიკაში.

კომიტეტის დასკვნით, თანაბარი ღირებულების სამუშაოსთვის თანაბარი ანაზღაურების უფლების აღიარება-აღსრულების ნაწილში, დაირღვა შესწორებული ქარტიის 4.3 და 20 მუხლები, ვინაიდან: პრაქტიკაში არ იყო უზრუნველყოფილი გამჭვირვალე ანაზღაურება; არ არსებობდა ინდიკატორები, რომლებიც აჩვენებდა გაზომვად პროგრესს ქალებისა და კაცების თანაბარი ანაზღაურების ხელშეწყობაში; და მიღწეული პროგრესი არ კმარადა კერძო კომპანიებში გადანყვეტილების მიმღებ პოზიციებზე ქალთა დაბალანსებული წარმომადგენლობის უზრუნველსაყოფად.

2023 წლის ანგარიშში სოციალურ უფლებათა ევროპულმა კომიტეტმა აღნიშნა, რომ „გენდერული სახელფასო სხვაობის შესახებ ინფორმაციის აქტის“ შემოღებამ და ეტაპობრივმა განხორციელებამ მნიშვნელოვანი წინსვლა აჩვენა გამჭვირვალე ანაზღაურების განმტკიცებაში. დადებითი ტენდენციების შედეგად, აღინიშნა გაზომვადი პროგრესი. შედეგად, კომიტეტმა დაადგინა, რომ მდგომარეობა უკვე შეესაბამებოდა ქარტიას.

4) Finnish Society of Social Rights v. Finland (საჩივარი No. 106/2014, 2016 წლის 8 სექტემბრის გადაწყვეტილება ახსებით მხაჩხეზე)

საჩივარი ეხებოდა შესწორებული ქარტიის 24-ე მუხლს (დაცვის უფლება შრომითი ურთიერთობის შეწყვეტის შემთხვევაში). მომჩივანი ორგანიზაცია ამტკიცებდა, რომ უკანონო დათხოვნის შემთხვევაში, ფინეთის კანონმდებლობა არ ითვალისწინებდა თანამშრომლის სამსახურში აღდგენის შესაძლებლობას და ადგენდა კომპენსაციის ზღვრულ ოდენობას, რაც ეწინააღმდეგებოდა აღნიშნულ დებულებას. თავის გადანყვეტილებაში კომიტეტმა შეაფასა სამუშაოზე აღდგენის საშუალების არარსებობა ფინეთის კანონმდებლობაში, ასევე, გარემოება, რომ „შრომითი ხელშეკრულებების შესახებ აქტი“ განსაზღვრავდა კომპენსაციის ზღვრულ ოდენობას, რომელიც შეიძლება უკანონო დათხოვნისას მიენიჭოს პირს.

კომიტეტმა ხაზი გაუსვა, რომ უკანონოდ გათავისუფლებულ თანამშრომელს უნდა მიეცეს სათანადო კომპენსაცია ან სხვა სახის სამართლებრივი დაცვის საშუალება. გარდა ამისა, ქარტიის სტანდარტებთან შესაბამისობისთვის, კომპენსაცია უნდა: (i) ანაზღაურებდეს ფინანსურ ზარალს, რომელიც პირმა განიცადა გათავისუფლების დღიდან შესაბამისი ორგანოს მიერ საჩივარზე გადაწყვეტილების გამოტანამდე; (ii) ითვალისწინებდეს სამსახურში აღდგენის შესაძლებლობას; (iii) განისაზღვროს ისეთი ოდენობით, რომ საკმარისი შემაკავებელი ეფექტი ჰქონდეს დამსაქმებელზე და გამოასწოროს დასაქმებულის მიერ განცდილი ზიანი. კომპენსაციაზე დაწესებული ნებისმიერი ზედა ზღვარი, რომელიც გამორიცხავს თანაზომიერ და დამაკმაყოფილებელ ანაზღაურებას, არსებითად ეწინააღმდეგება ქარტიას. თუ ასეთი ზღვარი არსებობს მატერიალური ზიანის შემთხვევაში, დაზარალებულს უნდა შეეძლოს არამატერიალური ზიანის ანაზღაურების მოთხოვნა სხვა სამართლებრივი მექანიზმებით.

კომიტეტმა დაადგინა შესწორებული ქარტიის 24-ე მუხლის დარღვევა, ორი მიზეზის გამო: „შრომითი ხელშეკრულებების შესახებ აქტი“ ითვალისწინებს კომპენსაციის მაქსიმალურ ზღვარს უკანონო დათხოვნის შემთხვევაში, რის გამოც, შესაძლოა, მინიჭებული კომპენსაცია არ შეესაბამებოდეს განცდილ ზიანს; უკანონო დათხოვნის შემთხვევებში, ფინეთის კანონმდებლობა არ ითვალისწინებს სამსახურში აღდგენას, სამართლებრივი დაცვის საშუალების სახით.

5) General Federation of Employees of the National Electric Power Corporation (GENOP-DEI) and Confederation of Greek Civil Servants' Trade Unions (ADEDY) v. Greece (საჩივარი No.66/2011, 2012 წლის 23 მაისის გადაწყვეტილება ახლებით მხაზზე)

მომჩივანი პროფკავშირების განცხადებით, ანაზღაურებასა და სამუშაო პირობებთან დაკავშირებული ღონისძიებები, განსაზღვრული 2010 წლის 17 დეკემბრის №3899/2010 აქტში, არღვევდა ევროპის სოციალური ქარტიის 1-ელ (შრომის უფლება), მე-4 (უფლება შრომის სამართლიან ანაზღაურებაზე), მე-7 (ბავშვებისა და ახალგაზრდების უფლება დაცვაზე), მე-10 (პროფესიული მომზადების უფლება) და მე-12 (სოციალური უზრუნველყოფის უფლება) მუხლებს.

კომიტეტის გადაწყვეტილებაში აღინიშნა, რომ შევირდობის ხელშეკრულებით დასაქმებული ახალგაზრდები გამორიცხულნი იყვნენ შრომითი კანონმდებლობის მოქმედების სფეროდან და არ სარგებლობდნენ ყოველწლიური სამკვირიანი ანაზღაურებადი შვებულებით. კერძოდ, კომიტეტმა აღნიშნა, რომ სახელმწიფოს მიერ ახალგაზრდა მუშაკისთვის დაბალი მინიმალური ანაზღაურების დაწესება გამართლებულია, თუ ეს ზომა ემსახურება დასაქმების პოლიტიკის ლეგიტიმურ მიზანს და ამ მიზნის პროპორციულია. გამოიყენა რა ეს ტესტი მოცემული ფაქტობრივი გარემოებების მიმართ, კომიტეტმა მიიჩნია, რომ ახალგაზრდების მიმართ განსხვავებული მოპყრობა ემსახურებოდა დასაქმების პოლიტიკის ლეგიტიმურ მიზანს – ახალგაზრდა მუშაკთა შრომით ბაზარზე ინტეგრაციას მძიმე ეკონომიკური კრიზისის პირობებში. ამასთან, წარმოდგენილ საქმეში კომიტეტმა მიიჩნია, რომ

მინიმალური ხელფასის შემცირების მასშტაბი და მისი გავრცელება 25 წლამდე ასაკის ყველა მუშაკზე, არათანაზომიერი იყო, სპეციფიკური ეკონომიკური გარემოებების მიუხედავად.

კომიტეტმა დაადგინა, რომ დაირღვა რამდენიმე დებულება, კერძოდ, 1961 წლის ქართის მუხლები: 7.7, 10.2, 12.3 და 4.1.

2023 წელს, შემდგომი ღონისძიებების ფარგლებში, კომიტეტმა გაითვალისწინა მთავრობის მიერ წარმოდგენილი არგუმენტები, მიუთითა საქმეში Greek General Confederation of Labour (GSEE) v. Greece (საჩივარი No. 111/2014) მიღებულ გადაწყვეტილებაზე და განაცხადა, რომ კანონი №4763/2020 „პროფესიული განათლების, სწავლებისა და უწყვეტი სწავლების ეროვნული სისტემის შესახებ“, რომელიც შეგირდებისთვის ითვალისწინებს სწავლისა და მომზადების დუალურ სისტემას, უზრუნველყოფდა მათი სამუშაო და დასვენების დროის ადაპტირებას ახალგაზრდა მუშაკთა სპეციფიკური ჯგუფის საჭიროებებზე. ამრიგად, კომიტეტმა მიიჩნია, რომ არსებული სიტუაცია უკვე შეესაბამებოდა ქართიას.

6) European Confederation of Police (EuroCOP) v. Ireland (საჩივარი No. 83/2012, 2013 წლის 2 დეკემბრის გადაწყვეტილება დასაშვებობასა და ახსებით მხახეზე)

მომჩივანი ორგანიზაციის განცხადებით, ირლანდიაში პოლიციის წარმომადგენლობითი გაერთიანება, უფრო კონკრეტულად, „გარდასერჟანტთა და ინსპექტორთა ასოციაცია“ (AGSI), ვერ სარგებლობდა პროფკავშირთა ყველა უფლებით, მათ შორის, „ქოლგა ორგანიზაციაში“ განვვრჩიანებისა და კოლექტიური მოლაპარაკების უფლებებით. მომჩივანი ორგანიზაცია აცხადებდა, რომ დაირღვა შესწორებული ქართის მე-5 (ორგანიზების უფლება), მე-6 (კოლექტიური მოლაპარაკების უფლება) და 21-ე (ინფორმაციისა და კონსულტაციის უფლება) მუხლები.

კომიტეტმა თავის გადაწყვეტილებაში განიხილა: აკრძალვა, რომელიც ეხებოდა პოლიციის წარმომადგენლობითი გაერთიანებების ასოცირებას დასაქმებულთა ეროვნულ ორგანიზაციებში და პოლიციის პროფკავშირთა შექმნას; არასაკმარისი წვდომა განხილვებზე, რომლებიც უკავშირდებოდა ანაზღაურებაზე შეთანხმებებს; წვდომის შეზღუდვა შრომითი ურთიერთობების კომისიასა და შრომითი საქმეების განმხილველ სასამართლოზე; და კოლექტიური მოქმედების უფლების არარსებობა. კომიტეტმა კიდევ ერთხელ აღნიშნა, რომ დაუშვებელია პოლიციის მთლიანად გამორიცხვა მე-5 მუხლით გათვალისწინებული გარანტიებიდან და, როგორც დაადგინა საქმეში European Council of Police Trade Unions (CESP) v. Portugal (საჩივარი No. 60/2010), სახელმწიფოს შეუძლია პოლიციელთა ორგანიზების უფლების შეზღუდვა, თუმცა არა სრულად აკრძალვა.

კომიტეტმა დაადგინა ქართის მე-5 მუხლის დარღვევა, ვინაიდან პოლიციის წარმომადგენლობით გაერთიანებებს ეკრძალებოდათ დასაქმებულთა ეროვნულ ორგანიზაციებში განვვრჩიანება, რის შედეგადაც მოკლებულნი იყვნენ შესაძლებლობას, მონაწილეობა მიეღოთ მოლაპარაკებებში ანაზღაურების, პენსიებისა და სამუშაო პირობების შესახებ (ეროვნული ორგანიზაციების

დონეზე). გარდა ამისა, დადგინდა, რომ მდგომარეობა არ შეესაბამებოდა ქარტიის 6.2 მუხლს, რადგან პოლიციის წარმომადგენლობით გაერთიანებებს არ ჰქონდათ საშუალება, ეფექტიანად წარმოედგინათ თავიანთი წევრები ყველა საკითხში, რომლებიც უკავშირდება მათ მატერიალურ და მორალურ ინტერესებს. კომიტეტმა დაადგინა 6.4 მუხლის დარღვევაც, ვინაიდან ეროვნული კანონმდებლობა სრულად აუქმებდა პოლიციელთა გაფიცვის უფლებას. შემდგომი მონიტორინგის ფარგლებში, 2021 წელს, კომიტეტმა აღნიშნა: მიუხედავად იმისა, რომ კანონმდებლობა ჯერ კიდევ დანერგვის პროცესში იყო, Garda Síochána-ს (ირლანდიის პოლიცია) ჰქონდა უფლება, მონაწილეობა მიეღო მოლაპარაკებებში საჯარო სამსახურში ანაზღაურების შესახებ. შესაბამისად, მდგომარეობა შეფასდა, როგორც თავსებადი ქარტიის მე-5 მუხლთან.

7) *Confederazione Generale Italiana del Lavoro (CGIL) v. Italy* (საჩივარი No. 140/2016, 2019 წლის 22 იანვრის გადაწყვეტილება ახლებით მხაჩხზე)

საჩივარი ეხებოდა შესწორებული ქარტიის მე-5 (ორგანიზების უფლება) და მე-6 (კოლექტიური მოლაპარაკების უფლება) მუხლებს. მომჩივანი პროფკავშირი CGIL ამტკიცებდა, რომ იტალიაში Guardia di Finanza-ს რეგულაციები მის წევრებს ართმევდა ორგანიზებისა და კოლექტიური მოლაპარაკების უფლებებს, რაც ეწინააღმდეგებოდა ზემოხსენებულ დებულებებს.

თავის გადაწყვეტილებაში კომიტეტმა კიდევ ერთხელ აღნიშნა, რომ ქარტიის მე-5 მუხლის მიხედვით, სახელმწიფოთა მხრიდან გარკვეული შეზღუდვების დაწესება შეიარაღებული ძალების წევრთა ორგანიზების უფლებაზე, დასაშვებია და, ამ მხრივ, მათ ფართო დისკრეცია ენიჭებათ. თუმცა, პროფკავშირებს უნდა ჰქონდეთ უფლება წინასწარი ნებართვის გარეშე ორგანიზებაზე, ხოლო საწყის ეტაპზე საჭირო ფორმალური პროცედურები (მაგ. დეკლარირება და რეგისტრაცია) უნდა იყოს ადვილად შესასრულებელი.

კომიტეტმა დაადგინა ქარტიის მე-5 მუხლის დარღვევა, ვინაიდან Guardia di Finanza-ს წევრთა ორგანიზების უფლება გადაჭარბებულად იზღუდებოდა. კერძოდ, მისი წევრების მიერ პროფკავშირის ან პროფესიული ასოციაციის შექმნას სჭირდებოდა თავდაცვის მინისტრის წინასწარი თანხმობა, უარის გასაჩივრების ადმინისტრაციული და სასამართლო საშუალებები კი არ არსებობდა. გარდა ამისა, „სხვა პროფესიულ კავშირებში“ გაწევრიანების აბსოლუტური აკრძალვა Guardia di Finanza-ს წევრთათვის, იმის გათვალისწინებით, რომ მათი ფუნქციები პოლიციისა და შეიარაღებული ძალების ფუნქციების ეკვივალენტურია, არაპროპორციული ზომაა, ვინაიდან Guardia di Finanza-ს წევრებს ართმევს ეკონომიკური და სოციალური ინტერესების დაცვის ეფექტიან საშუალებას და არ არის აუცილებელი დემოკრატიულ საზოგადოებაში.

ამასთან, ის, რომ Guardia di Finanza-ს წარმომადგენლობით ორგანოებს არ ეძლეოდათ საშუალება, მონაწილეობა მიეღოთ ეფექტიან მოლაპარაკებებში დასაქმების პირობების, მათ შორის, ანაზღაურების შესახებ, არღვევდა 6.2 მუხლს. კერძოდ, კომიტეტმა ვერ დაინახა, რომ არსებული პროცედურა იძლეოდა ეფექტიანი მოლაპარაკებისა და ხშირი შეხვედრის შესაძლებლობას შესაბამის მინისტრებსა და მათ წარმომადგენლებთან, სამუშაო პირობებსა და ანაზღაურებაზე მოსალაპარაკებლად. მან დაადგინა ქარტიის 6.4

მუხლის დარღვევა, ვინაიდან Guardia di Finanza-ს წევრებს აბსოლუტურად ეკრძალებოდათ გაფიცვა.

კომიტეტის შეფასებით, მიუხედავად იმისა, რომ თავდაცვის სექტორში გაფიცვის უფლებაზე შეზღუდვის დანესება „მინიმალური მომსახურების“ მოთხოვნათა კონტექსტში ან ეფექტიანი და რეგულარული მოლაპარაკების პროცედურის უზრუნველყოფა პროპორციული და ქარტიასთან თავსებადი ზომით, Guardia di Finanza-ს წევრებისთვის გაფიცვის უფლების სრული აკრძალვა ვერ ჩაითვლებოდა დემოკრატიული საზოგადოებისთვის აუცილებელ ღონისძიებად.

შემდგომი დაკვირვების ფარგლებში, კომიტეტმა დადებითად შეაფასა ახალი კანონი შეიარაღებული და საპოლიციო ძალების წევრთა გაერთიანების თავისუფლების შესახებ, რომლის თანახმადაც, პროფკავშირის ნიშან-თვისების მქონე პროფესიულ ასოციაციებს ეძლევათ ეროვნულ დონეზე წარმომადგენლობით ორგანიზაციად აღიარების შესაძლებლობა, რაც მათ ანიჭებს შესაბამის სექტორში კოლექტიური მოლაპარაკების წარმოების უფლებამოსილებას. ზემოაღნიშნულ ცვლილებათა გათვალისწინებით, 2023 წელს ქვეყანაში არსებული მდგომარეობა შეფასდა, როგორც ნაწილობრივ თავსებადი ქარტიასთან.

4. კარგი პრაქტიკის მაგალითები შშმ პირთა უფლებებთან დაკავშირებით

1961 წლის ქარტია იყო პირველი საერთაშორისო ხელშეკრულება, რომელმაც ცალკე მუხლი დაუთმო შეზღუდული შესაძლებლობის მქონე პირთა უფლებების დაცვას. შესწორებულ ქარტიაში მე-15 მუხლი უფრო ფართოდ განსაზღვრავს შშმ პირთა დამოუკიდებლობის, სოციალური ინტეგრაციისა და საზოგადოებრივ ცხოვრებაში მონაწილეობის უფლებას. ამ მუხლით გათვალისწინებულ მოვალეობათა დარღვევაზე, დაახლოებით, 10 კოლექტიური საჩივარი შევიდა საფრანგეთის, ფინეთის, ბელგიის, ესპანეთისა და იტალიის წინააღმდეგ.

1) Defence for Children International (DCI), European Federation of National Organisations working with the Homeless (FEANTSA), Magistrats Européens pour la Démocratie et les Libertés (MEDEL), Confederación Sindical de Comisiones Obreras and International Movement ATD Fourth World v. Spain (საჩივარი No. 206/2022, 2022 წლის 12 ოქტომბრის გადაწყვეტილება დასაშვებობისა და გზებითი ღონისძიებების შესახებ)

საჩივარი ეხებოდა შესწორებული ქარტიის შემდეგ მუხლებს: 31 (უფლება საცხოვრებელზე), 16 (ოჯახის უფლება სოციალურ, იურიდიულ და ეკონომიკურ დაცვაზე), 17 (ბავშვებისა და ახალგაზრდების უფლება სოციალურ, იურიდიულ და ეკონომიკურ დაცვაზე), 30 (სიღარიბისა და სოციალური გარიყულობისგან დაცვის უფლება), 23 (ხანდაზმულ პირთა უფლება სოციალურ დაცვაზე), 11 (ჯანმრთელობის დაცვის უფლება), 15 (შეზღუდული შესაძლებლობის მქონე პირთა დამოუკიდებლობის, სოციალური ინტეგრაციისა და საზოგადოებრივ ცხოვრებაში მონაწილეობის უფლება), 20 (თანაბარი შესაძლებლობებითა და თანასწორი მოპყრობით სარგებლობის უფლება დასაქმებისა და პროფესიული საქმიანობის სფეროში, სქესის ნიშნით დისკრიმინაციის გარეშე), 27 (ოჯახური

ვალდებულებების მქონე მუშაკთა უფლება თანაბარ შესაძლებლობებსა და თანასწორ მოპყრობაზე, ასევე, მუხლი E (დისკრიმინაციის აკრძალვა), თითოეულ ზემოაღნიშნულ დებულებასთან ერთობლიობაში.

საჩივარი ეხებოდა ელექტროენერგიის დიდი ხნით გათიშვას მადრიდში (ესპანეთი), Cañada Real Galiana-ს გარეუბანში. მომჩივანი ორგანიზაციები აცხადებდნენ, რომ სახელმწიფომ, როგორც მარეგულირებელმა, არ გადადგა ქმედითი ნაბიჯები ელექტროენერგიის აღდგენისა ან ენერგიის ალტერნატიული წყაროების უზრუნველყოფისთვის. ელექტროენერგიის გათიშვამ მძიმე გავლენა იქონია 4 500-მდე მცხოვრებზე, მათ შორის, 1 800-მდე ბავშვსა და მოზარდზე, რამაც გამოიწვია მძიმე სამედიცინო პრობლემები და გაამწვავა მათი ჯანმრთელობის პრობლემები. ელექტროენერგიის არქონამ განსაკუთრებით მძიმედ იმოქმედა ბავშვებსა და მოზარდებზე, ქალებსა და გოგონებზე, ხანდაზმულებზე, შშმ პირებსა და სხვა მონყვლად ჯგუფებზე, ბოშების ჩათვლით, რითაც დაირღვა ქარტიის ზემოაღნიშნული დებულებები. კომიტეტმა სახელმწიფოს დაავალა დროებითი ღონისძიებების გატარება. კერძოდ, მან დაადგინა, რომ Cañada Real Galiana-ს გარეუბანში ელექტროენერგიის ხანგრძლივმა და ხშირმა გათიშვამ გავლენა იქონია, სულ მცირე, 4 500 მცხოვრებზე, მათ შორის, 1 800-მდე ბავშვსა და სხვადასხვა მონყვლად ჯგუფზე, როგორებიც არიან: ხანდაზმულები, შშმ პირები, ჯანმრთელობის პრობლემის მქონე პირები, უცხო ქვეყნის მოქალაქეები და ბოშები. მოსახლეობა, რომელსაც ელექტროენერგია ნაწილობრივ ან საერთოდ არ მიეწოდებოდა, იმყოფებოდა სერიოზული და გამოუსწორებელი ზიანის რისკის ქვეშ, ცხოვრების პირობების გაუარესების გამო.

2) *Mental Disability Advocacy Centre (MDAC) v. Belgium* (საჩივაი No. 109/2014, 2018 წლის 29 მაისის გადაწყვეტილება დასაშვებობასა და ახსებით მხახეზე)

საჩივარი ეხებოდა შესწორებული ქარტიის მე-15 (შეზღუდული შესაძლებლობის მქონე პირთა დამოუკიდებლობის, სოციალური ინტეგრაციისა და საზოგადოებრივ ცხოვრებაში მონაწილეობის უფლება) და მე-17 (ბავშვებისა და ახალგაზრდების უფლება სოციალურ, იურიდიულ და ეკონომიკურ დაცვაზე) მუხლებს. მასში აღნიშნული იყო, რომ ბელგიამ ვერ უზრუნველყო ინტელექტუალური და ფსიქიკური დარღვევის მქონე ბავშვები განათლებითა და პროფესიული მომზადებით: კერძოდ, მათ არ ჰქონდათ წვდომა ზოგადსაგანმანათლებლო სკოლებსა და ინკლუზიის მხარდამჭერ სერვისებზე, რითაც დაირღვა ზემოხსენებული დებულებები. თავის გადაწყვეტილებაში, რომელიც შეეხებოდა ფლანდრიის საზოგადოების მიერ შშმ ბავშვთა, განსაკუთრებით, ინტელექტუალური შეზღუდვის მქონე ბავშვთა წვდომის შეზღუდვას ზოგადსაგანმანათლებლო სკოლებზე და უარს მათი ინკლუზიისთვის საჭირო მისადაგებაზე, კომიტეტმა დაადგინა ქარტიის 15.1 და 17.2 მუხლების დარღვევა.

ECSR-მა კიდევ ერთხელ აღნიშნა, რომ მე-15 მუხლის საფუძველია შშმ პირთა თანასწორი მოქალაქეობა. შესაბამისად, ამ მუხლით დაცული ძირითადი უფლებებია „დამოუკიდებლობა, სოციალური ინტეგრაცია და საზოგადოებრივ ცხოვრებაში მონაწილეობა“ (*European Action of the Disabled (AEH) v. France, Complaint No. 81/2012*). ქარტია არ ანიჭებს მხარე სახელმწიფოებს ფართო

დისკრეციას იმ კუთხით, თუ რა ტიპის სკოლაში უნდა უზრუნველყონ შშმ პირთა დამოუკიდებლობა, ინტეგრაცია და მონაწილეობა. პირველ რიგში, ეს უნდა მოხდეს ზოგადსაგანმანათლებლო გარემოში.

კომიტეტი მიუთითებს, რომ ინკლუზიური განათლება მოითხოვს ისეთ მხარდაჭერასა და გონივრულ მისადაგებას, რომლებიც აუცილებელია შშმ პირთა ეფექტიანი წვდომისთვის სკოლებზე. ინტელექტუალური შეზღუდვის ნიშნით დისკრიმინაცია ვლინდება იმ შემთხვევებშიც, როცა სახელმწიფო არ იღებს „ფაქტობრივი უთანასწორობის“ გამოსასწორებლად საჭირო გონივრულ და ინდივიდუალურად მორგებულ ზომებს. კომიტეტის თანახმად, ამ კუთხით, ინდივიდუალური საჭიროებებისა და პირობების შეფასება ყველაზე უკეთ შეუძლია ეროვნულ ხელისუფლებას.

მე-15 მუხლი სახელმწიფოს ავალდებულებს, სრულად გამოიყენოს მის ხელთ არსებული რესურსები ინკლუზიური განათლების უფლების უზრუნველსაყოფად. კომიტეტმა აღნიშნა, რომ შეზღუდული შესაძლებლობის მქონე პირები, სხვა ადამიანებთან შედარებით, მეტად არიან დამოკიდებულნი სათემო ზრუნვის სერვისებზე, რომლებიც სახელმწიფო ბიუჯეტიდან ფინანსდება და მათ აძლევს დამოუკიდებლად და ღირსეულად ცხოვრების საშუალებას. საბიუჯეტო შეზღუდვების დანესება სოციალური პოლიტიკის სფეროში, როგორც წესი, უარყოფითად აისახება შშმ პირებზე და ირიბად განაპირობებს განსხვავებულ მოპყრობას შეზღუდული შესაძლებლობის ნიშნით (AEH v. France, §144).

ამ შემთხვევაში, კომიტეტმა ხაზი გაუსვა განსხვავებას ინტეგრაციასა და ინკლუზიას შორის: ინტეგრაცია ნიშნავს, რომ ბავშვი თავად უნდა მოერგოს ზოგადსაგანმანათლებლო სისტემას; ინკლუზია კი გულისხმობს ბავშვის უფლებას, ისწავლოს ჩვეულებრივ სკოლაში, და სკოლის მოვალეობას, მიიღოს ის და შეუქმნას პირობები, რომლებიც შეესაბამება ბავშვის საუკეთესო ინტერესებს, შესაძლებლობებსა და საგანმანათლებლო საჭიროებებს.

3) European Action of the Disabled (AEH) v. France (საჩივარი № 81/2012, 2013 წლის 11 სექტემბრის გადაწყვეტილება ახსებით მხაჩხეზე)

ევროპის სოციალური ქარტიის 15.1 მუხლის (შეზღუდული შესაძლებლობის მქონე პირთა დამოუკიდებლობის, სოციალური ინტეგრაციისა და საზოგადოებრივ ცხოვრებაში მონაწილეობის უფლება) პრაქტიკაში განხორციელებაზე სოციალურ უფლებათა ევროპულმა კომიტეტმა არაერთი მნიშვნელოვანი განმარტება გააკეთა.

ეს საჩივარი ეხებოდა აუტიზმის მქონე ბავშვებისა და მოზარდების წვდომას განათლებაზე და აუტიზმის მქონე ახალგაზრდების წვდომას პროფესიულ მომზადებაზე. მომჩივანი ორგანიზაციის მტკიცებით, საფრანგეთი არ ასრულებდა შესწორებული ქარტიის მე-10 (პროფესიული მომზადების უფლება) და მე-15 (შეზღუდული შესაძლებლობის მქონე პირთა დამოუკიდებლობის, სოციალური ინტეგრაციისა და საზოგადოებრივ ცხოვრებაში მონაწილეობის უფლება) მუხლებით გათვალისწინებულ ვალდებულებებს, ცალკე აღებულს, ან ერთობლიობაში E მუხლთან (დისკრიმინაციის აკრძალვა).

თავის გადაწყვეტილებაში კომიტეტმა დაადასტურა აუტიზმის მქონე ბავშვებისა

და მოზარდების უფლება პრიორიტეტულად ზოგადსაგანმანათლებლო გარემოში სწავლაზე, ასევე, აუტიზმის მქონე ახალგაზრდების უფლება პროფესიულ მომზადებაზე. მან განიხილა იმ ოჯახების პირდაპირი დისკრიმინაციაც, რომლებიც იძულებულნი იყვნენ, დაეტოვებინათ ქვეყნის ტერიტორია აუტიზმის მქონე შვილების სკოლაში მისაყვანად. გადაწყვეტილება მიუთითებდა, რომ „აუტიზმის გეგმისთვის“ ბიუჯეტის შემცირება აუტიზმის მქონე ბავშვებისა და მოზარდების განათლების კომპონენტში, ირიბად არახელსაყრელ მდგომარეობაში აყენებდა ამ კატეგორიის პირებს, სხვა შშმ პირებთან შედარებით, და იწვევდა მათ დისკრიმინაციას.

კომიტეტმა საზგასმით აღნიშნა, რომ: „განათლების უფლების უზრუნველყოფა შეზღუდული შესაძლებლობის მქონე ბავშვებისა და სხვა პირებისთვის განსაკუთრებულ როლს ასრულებს მათი მოქალაქეობრივი უფლებების განვითარებაში. სწორედ ამიტომ, შესწორებული მე-15 მუხლი პირდაპირ უთითებს განათლებაზე და ხაზს უსვამს განათლების „ზოგადი სქემების ფარგლებში“ მიღების მნიშვნელობას, თუ ეს შესაძლებელია. აღსანიშნავია, რომ მე-15 მუხლი ვრცელდება ყველა შშმ პირზე, შეზღუდული შესაძლებლობის ტიპისა და წარმომავლობის, ასევე, პირის ასაკის მიუხედავად. ამრიგად, იგი სრულად მოიცავს აუტიზმის მქონე ბავშვებსა და ზრდასრულებს“ (Autism–Europe v. France, 4 ნოემბერი 2003).

კომიტეტმა ასევე მიუთითა, რომ მხარე სახელმწიფოები ვალდებული არიან, მიაწოდონ „განათლება შშმ პირებს, პროფესიულ ორიენტაციასა და მომზადებასთან ერთად, განათლების სისტემის ერთი ან მეორე სვეტის ფარგლებში – სხვა სიტყვებით, ზოგადსაგანმანათლებლო ან სპეციალურ სკოლებში.“ პრიორიტეტიუნდამიენიჭოს განათლებას ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულებებში. ამ მოთხოვნის განმარტება, „ჩვეულებრივ, დებულების კონტექსტისა და მიზნის გათვალისწინებით“, მიუთითებს, რომ „სახელმწიფო ორგანოებმა, შშმ პირთა დამოუკიდებლობის, სოციალური ინტეგრაციისა და საზოგადოებრივ ცხოვრებაში მონაწილეობის უზრუნველსაყოფად, მათი განათლების პროცესში უნდა გაითვალისწინონ შეზღუდვის ტიპი, სიმძიმე და ინდივიდუალური გარემოებები, რაც უნდა შეფასდეს თითოეულ შემთხვევაში.“ ამრიგად, ქართის 15.1 მუხლი მხარე სახელმწიფოებს არ ანიჭებს ფართო დისკრეციას იმ კუთხით, თუ რა ტიპის საგანმანათლებლო დაწესებულებაში უნდა შეუწყონ ხელი შშმ პირთა დამოუკიდებლობას, ინტეგრაციასა და საზოგადოებრივ ცხოვრებაში მონაწილეობას. ქართით გათვალისწინებული ზოგიერთი უფლების უზრუნველყოფა „განსაკუთრებულად რთული და ხარჯიანია“, რის გამოც კომიტეტი მუდმივად ხაზს უსვამს სამი ძირითადი კრიტერიუმის შესრულებას, რომლებიც პირველად ჩამოყალიბდა საქმეში Autism–Europe v. France (საჩივარი № 13/2002) და შემდგომ გამეორდა სხვა საქმეებშიც – MDAC v. Bulgaria (№ 41/2007) და FIDH v. Belgium (№ 62/2010). ესენია: „გონივრული ვადა, გაზომვადი პროგრესი და ხელმისაწვდომი რესურსების მაქსიმალურად გამოყენებისთვის საჭირო დაფინანსება“ (§53).

კომიტეტმა შეისწავლა ეროვნული კანონმდებლობა, პრაქტიკა და წარმოდგენილი მონაცემები და დაადგინა ქართის (მუხლი 15.1) დარღვევა „იმის გამო, რომ აუტიზმის მქონე ბავშვებსა და მოზარდებზე ზრუნვის სპეციალიზებულ დაწესებულებებში შესრულებული სამუშაო არ არის

დიდწილად საგანმანათლებლო სახის“ (§121).

ქართის E მუხლის დარღვევის კონტექსტში, 15.1 მუხლთან ერთობლიობაში, ფაქტი, რომ აუტიზმის მქონე ბავშვთა ოჯახები იძულებულნი იყვნენ, საცხოვრებლად ბელგიაში გადასულიყვნენ შვილების სპეციალურ სკოლაში მისაყვანად, რადგან საფრანგეთი არ აძლევდა ასეთ ბავშვებს სწავლასა და კომუნიკაციასთან დაკავშირებული სპეციფიკური საჭიროებების დაკმაყოფილების საშუალებას ეროვნულ დონეზე არსებულ სკოლებში, კომიტეტმა დისკრიმინაციად მიიჩნია (§136-137). გარდა ამისა, აუტიზმის მქონე ბავშვთა და მოზარდთა განათლების სფეროში დაწესებული საბიუჯეტო შეზღუდვები ირიბად არახელსაყრელ მდგომარეობაში აყენებდა შშმ პირებს, რაც ასევე არღვევდა ქართის E მუხლს, 15.1 მუხლთან ერთობლიობაში.

5. კარგი პრაქტიკის მაგალითები ხანდაზმულთა სოციალური დაცვის უფლებებთან დაკავშირებით

ქართის 23-ე მუხლი პირველი დებულება ადამიანის უფლებათა საერთაშორისო ხელშეკრულებებში, რომელიც იცავს კონკრეტულად ხანდაზმულთა უფლებებს. ძირითადი იდეები, რომლებსაც ეს მუხლი ეფუძნება, მოიცავს ადამიანის ავტონომიასა და დამოუკიდებლობას, ასაკის მიუხედავად. 23-ე მუხლი ეხება სოციალური ინკლუზიისა და აქტიური მოქალაქეობის ცნებებსაც. იგი სახელმწიფოებს ავალდებულებს „უშუალოდ ან საჭარო და კერძო ორგანიზაციებთან თანამშრომლობით, მიიღონ ან წაახალისონ შესაბამისი ზომები, რომელთა მიზანია, ხანდაზმული პირებისთვის შესაძლებლობის მიცემა, მაქსიმალურად დიდხანს დარჩნენ საზოგადოების სრულუფლებიან წევრებად“. ამ მუხლში გამოყენებული ტერმინი „საზოგადოების სრულუფლებიანი წევრები“ გულისხმობს, რომ ხანდაზმულები არ უნდა განიცდიდნენ გარიყულობას ასაკის გამო. საზოგადოებრივი ცხოვრების სხვადასხვა ფეროში მონაწილეობა გარანტირებული უნდა იყოს ყველასთვის, მიუხედავად იმისა, პირი პენსიაზეა, თუ ისევ აქტიურია, ან დაწესებულებაში ცხოვრობს, თუ არა.

23-ე მუხლი შედგება სამი ურთიერთდაკავშირებული ნაწილისგან და მოიცავს ხანდაზმულ პირთა კეთილდღეობის ასპექტებს შრომითი საქმიანობის მიღმა. იგი სახელმწიფოებს ავალდებულებს ყოვლისმომცველი და მულტისექტორული პოლიტიკის შემუშავებას, რომელიც გაითვალისწინებს ასაკოვანი მოსახლეობის მრავალფეროვან საჭიროებებს ისეთ სფეროებში, როგორიცაა ჯანმრთელობა, სოციალური უზრუნველყოფა, სოციალური დახმარება, საცხოვრებელი პირობები და სიღარიბისა და სოციალური გარიყულობისგან დაცვა. ამ დებულებით გათვალისწინებული ღონისძიებები, მათი მიზნები და აღსრულების საშუალებები მიმართულია ხანდაზმულთა ცხოვრების ახალი და პროგრესული სტანდარტის ჩამოყალიბებაზე, რაც სახელმწიფოებისგან ითხოვს თანმიმდევრული და შეთანხმებული ნაბიჯების გადადგმას 23-ე მუხლით დაფარულ სფეროებში. საქართველოს ეს მუხლი ჯერ არ მიუღია, თუმცა წინამდებარე ბროშურა სასარგებლო ინფორმაციას შეიცავს სხვადასხვა დაინტერესებული მხარისთვის, რომლებსაც სურთ ხანდაზმულთა დაცვის გაძლიერება საქართველოში.

Central Association of Carers in Finland v. Finland (საჩივარი №71/2011, 2012 წლის 4 დეკემბრის გადაწყვეტილება ახსებით მხაჟზე)

საჩივარი ეხებოდა ხანდაზმულთა მდგომარეობას ფინეთში. მომჩივანი ორგანიზაცია აცხადებდა, რომ კანონმდებლობა არ არეგულირებდა საცხოვრებლის სერვისების, მათ შორის, 24-საათიანი დახმარების ფასებს. შედეგად, ხანდაზმულებს არ ჰქონდათ წვდომა მათი მდგომარეობისთვის შესაფერის საცხოვრებელზე, რაც ეწინააღმდეგებოდა მათ არაერთ უფლებას.

კომიტეტმა დაადგინა ქარტიის 23-ე მუხლის დარღვევა იმის გამო, რომ საცხოვრებლის სერვისების ფასები მართლაც არ რეგულირდებოდა საკანონმდებლო დონეზე და მათზე მოთხოვნა აჭარბებდა მიწოდებას:

- ▶ საცხოვრებლის სერვისების მრავალფეროვანი და კომპლექსური საფასო პოლიტიკის გამო, ზრუნვის საჭიროების მქონე ხანდაზმულები აწყდებოდნენ სამართლებრივ ბუნდოვანებას. მუნიციპალიტეტებს შეეძლოთ ფასების კორექტირება, თუმცა არ არსებობდა ეფექტიანი გარანტიები ამ სერვისებზე ხანდაზმულთა რეალური წვდომისათვის;
- ▶ ეს მდგომარეობა დაბრკოლებას უქმნიდა ქარტიის 23b მუხლით გარანტირებულ უფლებას – „ხანდაზმული პირებისთვის ხელმისაწვდომ მომსახურებებსა და შეღავათებზე, ასევე, მათი გამოყენების შესაძლებლობებზე ინფორმაციის მიწოდება“.
- ▶ კომიტეტმა ხაზი გაუსვა, რომ მხარე სახელმწიფოებმა უნდა განახორციელონ საჭირო ქმედებები, რათა ხელი შეუწყონ ხანდაზმულებს, რომ დარჩნენ საზოგადოების სრულფასოვან წევრებად და იცხოვრონ დამოუკიდებელი ცხოვრებით, მათთვის ნაცნობ გარემოში, იმდენ ხანს, რამდენიც მოესურვებათ. სახელმწიფოებმა უნდა შეძლონ ხანდაზმულთა საჭიროებებსა და ჯანმრთელობის მდგომარეობაზე მორგებული საცხოვრებლის სერვისების მიწოდება, მათთვის შესაფერისი შეღავათებისა და სერვისების უზრუნველყოფა და სათანადო მხარდაჭერის გარანტირება დაწესებულებებში მცხოვრებ ხანდაზმულთათვის (§ 42).

Central Association of Carers in Finland v. Finland (საჩივარი №70/2011, 2012 წლის 4 დეკემბრის გადაწყვეტილება ახსებით მხაჟზე)

საჩივარი ეხებოდა ოჯახის წევრ და მეგობარ მზრუნველთა მდგომარეობას ფინეთში. მომჩივანი ორგანიზაცია აცხადებდა, რომ ამგვარ მზრუნველთა ფინანსური მხარდაჭერის სისტემა ქვეყანაში არ იყო თანასწორი და მისი პირობები განსხვავდებოდა საცხოვრებელი ადგილის მიხედვით.

კომიტეტმა დაადგინა, რომ ხანდაზმულთა სერვისების არათანმიმდევრულობა ფინეთში, რაც გამოწვეული იყო მუნიციპალიტეტთა არათანაბარი მიდგომით ასეთი სერვისების დაფინანსებისადმი, არ არღვევდა 23-ე მუხლს. თუმცა ფაქტი, რომ კანონმდებლობა უშვებდა პრაქტიკას, რომელიც ხანდაზმულთა ნაწილს ფაქტობრივად უკარგავდა წვდომას არაფორმალური ზრუნვისთვის გაცემულ შემწეობებსა ან ალტერნატიულ დახმარებებზე, კომიტეტმა შეაფასა ამ მუხლის დარღვევად.

International Federation of Associations of the Elderly (FIAPA) v. France (საჩივარი No. 145/2017, 2019 წლის 25 მაისის გადაწყვეტილება ახსებით მხახეზე)

საჩივარი შეეხებოდა ბრალდებას, რომ საფრანგეთის კანონმდებლობა ფინანსური ექსპლუატაციის (abus de faiblesse) შესახებ ვერ უზრუნველყოფდა ხანდაზმულთა სოციალური დაცვის უფლების ეფექტიან განხორციელებას, რაც არღვევდა შესწორებული ქარტიის 23-ე (ხანდაზმულ პირთა სოციალური დაცვის უფლება) და E (დისკრიმინაციის აკრძალვა) მუხლებს.

კომიტეტის შეფასებით, „23-ე მუხლის მიზანია, ხანდაზმულები დაიცვას ასაკის ნიშნით დისკრიმინაციისგან, სოციალურ უზრუნველყოფაზე, ჯანდაცვაზე, პროდუქტებსა და სერვისებზე წვდომის კუთხით, და უზრუნველყოს თავისუფლებით საკუთარი არჩევანის გასაკეთებლად და ღირსეულად და დამოუკიდებლად ცხოვრებისათვის. ეს ვალდებულება მოიცავს ეფექტიანი სამართლებრივი დაცვის საშუალებებსაც. იმ ფაქტის გათვალისწინებით, რომ ასაკი შეიძლება გარკვეულ მოწყვლადობას უკავშირდებოდეს, ხანდაზმულები ყოველდღიურ ცხოვრებაში შეიძლება გახდნენ უმწეოებით ბოროტად სარგებლობის მსხვერპლნი. შესაბამისად, 23-ე მუხლით გათვალისწინებული უფლებების სრულად გარანტირება მოითხოვს, რომ ეროვნული სისხლის სამართლის კანონმდებლობა შეიცავდეს დებულებებს, რომლებიც დანაშაულად განიხილავს ბოროტად სარგებლობას პირის უმწეო მდგომარეობით, და ითვალისწინებდეს ეროვნული სასამართლოსთვის მიმართვის შესაძლებლობას“ (§48).

Validity Foundation – Mental Disability Advocacy Centre v. Czechia (საჩივარი №188/2019, 2023 წლის 17 ოქტომბრის გადაწყვეტილება ახსებით მხახეზე)

საჩივარი ეხებოდა 1961 წლის ქარტიის 11.1 მუხლს (ჯანმრთელობის დაცვის უფლება) და 1988 წლის დამატებითი ოქმის 4.3 მუხლს (ხანდაზმულ პირთა სოციალური დაცვის უფლება). Validity Foundation ამტკიცებდა, რომ ჩეხეთის რესპუბლიკის ფსიქიატრიულ საავადმყოფოებში ხანდაზმულებისა და შშმ პირების სამართავად გამოიყენებოდა ფიჭური საწოლი-გალები (cage-beds) და ბადიანი საწოლები (net-beds), რაც არღვევდა ქარტიისა და მისი დამატებითი ოქმის ზემოაღნიშნულ დებულებებს.

კომიტეტმა მიუთითა, რომ დეინსტიტუციონალიზაციაზე გადასვლის პერიოდში შესაძლოა გარდაუვალი იყოს ინსტიტუციონალიზაციის გარკვეული ფორმების არსებობა, თუმცა ასეთ შემთხვევაშიც, საცხოვრებელი პირობები და ზრუნვა უნდა იყოს ადეკვატური და იცავდეს რამდენიმე უმნიშვნელოვანეს უფლებას, როგორცაა: ავტონომიის უფლება, პირადი ცხოვრების ხელშეუხებლობის უფლება, პიროვნული ღირსების პატივისცემის უფლება, უფლება მონაწილეობაზე გადაწყვეტილებათა მიღებასა და ინსტიტუციაში ცხოვრების პირობების განსაზღვრაში, ქონების დაცვის უფლება, ახლობლებთან პირადი კონტაქტის შენარჩუნების უფლება (მათ შორის, ინტერნეტის საშუალებით), უფლება საჩივრის შეტანაზე ინსტიტუციაში მოპყრობისა და ზრუნვის შესახებ (§96).

დასკვნა და რეკომენდაციები

კიდევ ერთხელ კოლექტიური საჩივრების პროცედურის მიღება-აღიარების მნიშვნელობაზე ადამიანის უფლებებისა და სოციალური სამართლიანობის ხელშეწყობისათვის საქართველოში.

კოლექტიური საჩივრების პროცედურის მიღება გარდამტეხი ნაბიჯია ადამიანის უფლებებისა და სოციალური სამართლიანობის განვითარებისათვის საქართველოში. მიუხედავად იმისა, რომ ქვეყანამ გარკვეულ პროგრესს მიაღწია კანონმდებლობისა და პრაქტიკის ევროპულ სტანდარტებთან დაახლოებაში, ამ მექანიზმის ინტეგრაცია ეროვნულ სამართლებრივ და ინსტიტუციურ ჩარჩოებში ხელს შეუწყობს სოციალურ უფლებათა დაცვის ხარვეზების აღმოფხვრას, უზრუნველყოფს სისტემურ ანგარიშვალდებულებას და გააძლიერებს სამოქალაქო ორგანიზაციათა და სოციალურ პარტნიორთა როლს.

სოციალურ უფლებათა ხელშეწყობისა და დაცვისათვის, საქართველომ უნდა აიღოს ევროპის სოციალური ქარტიის დამატებითი ვალდებულებებიც, მათ შორის, რომლებიც გათვალისწინებულია მე-15 და 23-ე მუხლებით; ასევე საჭიროა დამატებითი ოქმის რატიფიცირება კოლექტიური საჩივრების პროცედურის შესახებ.

ამჟამად, საქართველო დგას მნიშვნელოვან გზაგასაყარზე, რა დროსაც კოლექტიური საჩივრების პროცედურის აღიარებას შეუძლია:

- ▶ გააძლიეროს სამოქალაქო საზოგადოების, პროფკავშირებისა და სხვა სოციალური პარტნიორების როლი სოციალურ უფლებათა დაცვასა და განმტკიცებაში;
- ▶ გააუმჯობესოს ქარტიით ნაკისრი საერთაშორისო ვალდებულებების შესრულება;
- ▶ ჩამოაყალიბოს პლატფორმა სისტემურ დარღვევებზე რეაგირებისათვის, ასევე, მთავრობასა და დაინტერესებულ მხარეებს შორის დავების გადასაწყვეტად თანამშრომლობითი გზით;
- ▶ განამტკიცოს ნდობა ევროპული ინსტიტუტების მიმართ, დემოკრატიული ფასეულობებისა და კანონის უზენაესობის მხარდაჭერით.

ნაბიჯები, რომლებიც საქართველომ უნდა გადადგას დამატებითი ოქმის მისაღებად

კოლექტიური საჩივრების პროცედურის წარმატებულად მიღება-განხორციელებისთვის, საქართველომ უნდა გადადგას შემდეგი ნაბიჯები:

1. კანონმდებლობისა და პოლიტიკის რეფორმა

- ▶ დაიწყო არსებულ კანონმდებლობაში შესატანი ცვლილებების მომზადება, რომლებიც ხელს შეუწყობს დამატებითი ოქმის რატიფიცირებას კოლექტიური საჩივრების პროცედურის შესახებ.
- ▶ ითანამშრომლოს სამართლის ექსპერტებთან, აკადემიური წრეების წარმომადგენლებსა და შესაბამის დაინტერესებულ მხარეებთან, ყოვლისმომცველი განმარტებითი მემორანდუმის მოსამზადებლად საკანონმდებლო პროცესისთვის.

2. ცნობიერების ამაღლება და შესაძლებლობათა გაძლიერება

- ▶ ორგანიზება გაუწიოს ეროვნულ და საერთაშორისო კონფერენციებს, რათა გაიზარდოს ინფორმირებულობა კოლექტიური საჩივრების პროცედურაზე. პროცესში უნდა მონაწილეობდნენ სამინისტროების, პროფკავშირებისა და სამოქალაქო ორგანიზაციების წარმომადგენლები, მოსამართლეები, ადვოკატები და აკადემიური წრის წევრები იმ სახელმწიფოებიდან, რომელთაც რატიფიცირებული აქვთ აღნიშნული პროცედურა.
- ▶ ჩაატაროს სასწავლო სესიები და სემინარები ევროპის სოციალურ ქარტიასა და სოციალურ უფლებათა ევროპული კომიტეტის იურისპრუდენციაზე, რომლებსაც დაესწრებიან სახელმწიფო მოხელეები, პარლამენტარები და იურისტები.
- ▶ შეიმუშაოს საგანმანათლებლო პროგრამები უნივერსიტეტებისთვის, რათა სამართლისა და საჯარო ადმინისტრირების პროგრამებში ჩაერთოს ევროპის სოციალური ქარტია და კოლექტიური საჩივრების პროცედურა.

3. საზოგადოებასთან კომუნიკაცია და ადვოკატირება

- ▶ დაიწყო საზოგადოებრივი ცნობიერების ასამაღლებელი კამპანია, რათა მოქალაქეებს მიეწოდოთ ინფორმაცია პროცედურის სარგებელზე – ისეთი მოწყვლადი ჯგუფებისთვის, როგორებიც არიან ბავშვები, შშმ პირები და ხანდაზმულები.
- ▶ მოიწვიოს სამოქალაქო ორგანიზაციები და სოციალური პარტნიორები, რათა მონაწილეობა მიიღონ კონსულტაციებსა და გადაწყვეტილების მიღების პროცესებში, ფართო მხარდაჭერის ჩამოსაყალიბებლად.

4. ინსტიტუციური და ადმინისტრაციული მოწყობა

- ▶ შესაბამის სამინისტროებში შექმნას სპეციალური მექანიზმი კოლექტიურ საჩივრებზე რეაგირების სამართავად და ECSR-თან კოორდინაციის ხელშეწყობისათვის.
- ▶ შექმნას ECSR-ის დასკვნებისა და გადაწყვეტილებების ქართულ ენაზე თარგმნა-გავრცელების სისტემა, რომელიც გააუმჯობესებს მისაწვდომობასა და ინფორმირებულობას.

5. საერთაშორისო თანამშრომლობა და ცოდნის გაზიარება

- ▶ ხელი შეუწყოს ორმხრივ და მრავალმხრივ გაცვლით ინიციატივებს სახელმწიფოებთან, რომელთაც მიღებული აქვთ კოლექტიური საჩივრების პროცედურა, მათი გამოცდილებისა და საუკეთესო პრაქტიკის გასაცნობად.
- ▶ ითანამშრომლოს ევროპის საბჭოსთან, ტექნიკური მხარდაჭერისა და შესაძლებლობათა გასაძლიერებელი დახმარების მისაღებად კოლექტიური საჩივრების პროცედურის განხორციელებისათვის.

6. პროაქტიული სამართლებრივი კულტურის ხელშეწყობა

- ▶ წაახალისოს ეროვნული სასამართლოები, რომ თავიანთ გადაწყვეტილებებში გაითვალისწინონ სოციალურ უფლებათა კომიტეტის გადაწყვეტილებები, ქარტიის ავტორიტეტული განმარტებების სახით.
- ▶ ხელი შეუწყოს კომიტეტის მიგნებათა გამოყენებას კანონმდებლობისა და პოლიტიკის განსაზღვრის პროცესში, ქარტიასთან შესაბამისობის უზრუნველსაყოფად.

კოლექტიური საჩივრების პროცედურის მიღება არ წარმოშობს დამატებით ტვირთს საქართველოს სამართლებრივი და ადმინისტრაციული სისტემებისთვის. ნაცვლად ამისა, იგი უზრუნველყოფს სტრუქტურულ ჩარჩოს სოციალურ უფლებათა დარღვევებზე ეფექტიანად რეაგირებისათვის. იგი არ ითხოვს დარღვევების ფინანსურ კომპენსაციას, ახალი ადმინისტრაციული ორგანოების შექმნას, ან დამატებითი რესურსების გამოყოფას; პირიქით, ხელს უწყობს დიალოგს, კოლაბორაციას, ანგარიშვალდებულებას და ეტაპობრივ გაუმჯობესებებს სოციალურ თუ შრომით პოლიტიკაში.

ამ ნაბიჯების გადადგმით, საქართველო შეძლებს მყარი მექანიზმის შექმნას სოციალურ უფლებათა დასაცავად და მისი, როგორც დემოკრატიული სახელმწიფოს პოზიციის განსამტკიცებლად, რომელიც ერთგულებს მართლმსაჯულებას, თანასწორობასა და ადამიანის უფლებებს. კოლექტიური საჩივრების პროცედურა ხელს შეუწყობს ტრანსფორმაციულ ცვლილებას და უზრუნველყოფს, რომ სოციალური უფლებები მხოლოდ ფურცელზე კი არ იყოს დაცული, პრაქტიკაშიც განხორციელდეს.

ეს მექანიზმი არა მხოლოდ მოქალაქეებს აძლიერებს სამართლიანობის საპოვნელად, არამედ სახელმწიფოსაც აკისრებს ანგარიშვალდებულებას მოსახლეობის კეთილდღეობის დაცვაზე. დემოკრატიულ საზოგადოებაში სახელმწიფოს ვალია, დაიცვას ყველა მოქალაქის უფლება, ამ პროცედურის მიღებით კი საქართველო განამტკიცებს თავის ერთგულებას ინკლუზიურობის, სამართლიანობისა და გამჭვირვალობის მიმართ. ასეთი კოლექტიური მიდგომა აუცილებელია უფრო თანასწორი საზოგადოების შესაქმნელად და სოციალური ერთიანობის განსამტკიცებლად, რაც, საბოლოო ჯამში, ხელს შეუწყობს სტაბილურობასა და პროგრესს.

ევროპის სოციალური ქარტია მიღებულია 1961 წელს და გადაისინჯა 1996 წელს. ეს არის ადამიანის უფლებათა ევროპული კონვენციის ანალოგი ეკონომიკისა და სოციალური უფლებების სფეროში. ქარტიით გარანტირებულია ადამიანის უფლებათა ფართო სპექტრი, რომლებიც უკავშირდება დასაქმებას, საცხოვრებელს, ჯანმრთელობას, განათლებას, სოციალურ დაცვასა და კეთილდღეობას.

GEO

www.coe.int

ევროპის საბჭო ადამიანის უფლებათა წამყვანი ორგანიზაციაა კონტინენტზე. იგი შედგება 46 სახელმწიფოსგან, ევროკავშირის ყველა წევრი ქვეყნის ჩათვლით. ევროპის საბჭოს ყველა წევრმა ქვეყანამ ხელი მოაწერა ადამიანის უფლებათა ევროპულ კონვენციას, ხელშეკრულებას, რომელიც შექმნილია ადამიანის უფლებების, დემოკრატიისა და კანონის უზენაესობის დასაცავად. ევროპის საბჭოს წევრ სახელმწიფოებში კონვენციის შესრულებას ზედამხედველობს ადამიანის უფლებათა ევროპული სასამართლო.



European
Social
Charter

Charte
sociale
européenne

COUNCIL OF EUROPE



CONSEIL DE L'EUROPE